პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 84 (10170)

შაბათი, 9 აპრილი, 1955 წ.

ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

დღეს ნომერში:

ცენტრალური არაშავნიადაგიანი ზოლის ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი (1-ლი გვერდი).

ამხანაგმა ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ინდოეთის რესპუბლიკის ელჩი კ. პ. შივასანკარ მენონი (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია. — **კამათი საქართველოს სსრ 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო** (მე-2 გვერდი).

საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის საკითხისათვის (მე-2 გვერდი).

ინდოეთის პარლამენტის დელეგაციის ჩამოსვლისათვის სსრ კავშირში (მე-2 გვერდი).

გავაუმჯობესოთ პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა სოფლად. პარტიის წითელწყაროს რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფების მუშაობის [illegible] (მე-3 გვერდი).

ტუდაპეშტიდან გამოემგზავრა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია (მე-4 გვერდი).

ბუდაპეშტში გვირგვინებით შეამკეს საბჭოთა არმიის მეომართა ძეგლი (მე-4 გვერდი).

საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების საკითხთა აზიის ქვეყნების კონფერენცია (მე-4 გვერდი).

ცენტრალური არაშავნიადაგიანი ზოლის ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი

7 აპრილს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, გაიმართა ცენტრალური არაშავნიადაგიანი ზოლის ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკებიდან სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირის საბოლოო სხდომა.

მთავრობის ლოჟებში ამხანაგების **ნ. ა. ბულგანინის, ლ. მ. კაგანოვიჩის, გ. მ. მალენკოვის, ა. ი. მიკოიანის, ვ. მ. მოლოტოვის, მ. გ. პერვუხინის, მ. ზ. საბაროვის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ა. ი. კირიჩენკოს, პ. ნ. პოსპელოვის, მ. ა. სუსლოვის** გამოჩენას თათბირის მონაწილენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

გრძელდებოდა განხილვა მოხსენებისა ცენტრალური არაშავნიადაგიანი ზოლის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების გადიდების ღონისძიებათა შესახებ.

თათბირმა ერთსულოვნად მიიღო მიმართვა რუსეთის ფედერაციის ცენტრალური არაშავნიადაგიანი ზოლის ყველა კოლმეურნისადმი, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისადმი და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი.

საბოლოო სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ნ. ს. ხრუშჩოვი.** თავის სიტყვაში მან თქვა:

ამ ტრიბუნიდან სიტყვა წარმოთქვა ჩვენმა შესანიშნავმა ადამიანმა. ისინი ლაპარაკობდნენ იმ დიდ შესაძლებლობათა შესახებ, რომლებიც ცენტრალური არაშავნიადაგიანი ზონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოეპოვებათ მარცვლეულის, კარტოფილის, სელის, ბოსტნეულის, აგრეთვე რძის, ხორცისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. ჩვენ ყველამ დიდი ყურადღებით მოვისმინეთ ამხ. ჟელნოვას (სმოლენსკის ოლქიდან), ნილოვას (კალინინის ოლქიდან), არეპიევის (მოსკოვის ოლქიდან), ეფრემოვას (რიაზანის ოლქიდან), კომკავშირელ ამხ. იანჩკინას (ივანოვოს ოლქიდან), ამ თათბირის სტუმრების — უკრაინის სოფლის მეურნეობის მოწინავეების ამხ. შჩერბინას და საუხის და ბევრი სხვა ამხანაგის სიტყვები. მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ასეთი ოსტატები ჩვენს ქვეყანაში ათიათეულ და ასეულ ათასობით არიან. ჩვენში ცოტა როდია კარგი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და მთელი რაიონები. საჭიროა ყოველი ღონისძიებით გავუწიოთ პროპაგანდა მათს გამოცდილებას და დავნერგოთ იგი წარმოებაში.

დადებითს შედეგებს მიაღწიეს ცალკეულმა ოლქებმა, სადაც ხელმძღვანელებმა სწორად გაიგეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი და ჯეროვნად მოჰკიდეს ხელი ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში. როგორც მაგალითი შეიძლება დავასახელოთ რიაზანის ოლქი, რომლის კოლმეურნეობებმაც გასულ წელს თვითეული ძროხის წველადობა გაადიდეს 412 კილოგრამით. ამ ოლქს წელსაც უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვს, ვიდრე არაშავნიადაგიანი ზოლის სხვა ოლქებს. ვფიქრობ, პარტიის რიაზანის საოლქო კომიტეტი სწორ გზას ადგას და მისი მდივანი ამხ. ლარიონოვი უნარიანად მუშაობს.

მაგრამ დღეს მე ვილაპარაკებ, უმთავრესად, არა დადებით ფაქტებზე, არამედ რამდენიმე კრიტიკულ შენიშვნას გამოვთქვამ ცენტრალური არაშავნიადაგიანი ზონის ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მთელი რიგი ხელმძღვანელების მიმართ.

თქვენ იცით, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დასახა ამოცანა უზრუნველვყოთ ყოველწლიურად სულ ცოტა 10 მილიარდი ფუთი მარცვლეულის მიღება. ეს ძლიერ სერიოზული და პასუხსაგები ამოცანაა. იგი მუდამ უნდა აღელვებდეს თვითეულ ჩვენგანს, მოუწოდებდეს ყველა საბჭოთა ადამიანს წინსვლისაკენ. ბრძოლა მისი განხორციელებისათვის მთავარი და გადამწყვეტია მთელ ჩვენს მუშაობაში სოფლის მეურნეობის აღმავლობის დარგში. ვინც ამ ამოცანას ივიწყებს, შორდება მას, სჯერდება მხოლოდ ლაპარაკს, ის ლაყბობაში ახრჩობს ამ სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვან საქმეს.

როგორ ავიყვანოთ მარცვლეულის წარმოება 10 მილიარდ ფუთამდე? ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს იძლევიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი. ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა ძალა ის არის, რომ ისინი სახაენ ამ საყოველთაო-სახალხო ამოცანის გადაჭრის გზებს, კონკრეტულ წყაროებს, რომლებითაც შეიძლება უზრუნველვყოთ მარცვლეულის წარმოების ზრდა, სახელდობრ — მოსავლიანობის გადიდება ყველა ფართობზე, დანაკარგების შემცირება მოსავლის აღებისას, ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება, სიმინდის ნათესების მნიშვნელოვანი გაფართოება.

შემდეგ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, რომ ამ ამოცანის გადაჭრა შეუძლებელია, თუ არ გარდაიქმნა სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკა. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს რომ წავართვათ უფლება მეურნეობა დაგეგმოს იმ პირობებზე დაყრდნობით, რომლებშიც იგი იმყოფება, მაშინ ძნელია რაიმე გაკეთდეს. როცა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს განკარგულებას აძლევენ — ქერი თესეო, მას არ შეუძლია დაარღვიოს ეს განკარგულება, უნდა თესოს, თუმცა იცის, რომ ქერს ჰექტარზე მიიღებს მხოლოდ ხუთ ცენტნერს, იცის, რომ ამ კულტურის დათესვა ეკონომიურად ხელსაყრელი არ არის. დაგეგმვის ასეთი პრაქტიკის დროს მარცვლეულის მოუსავლიანობას უკვე თვით გეგმა შეიცავს. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შეუძლია, რა თქმა უნდა, ეცადოს და მიიღოს ამავე კულტურის მაქსიმალური მოსავალი, მაგრამ ეს კოლმეურნეობას ვერ მისცემს შესაძლებლობას მკვეთრად გაადიდოს მარცვლეულის მოსავალი. იმავე პირობებში კი, თუ მცირემოსავლიან კულტურებს შევცვლით სხვა, უფრო უხვ მოსავლიანი კულტურებით, კოლმეურნეობა მარცვლეულს ხევრად უფრო მეტს მოიყვანს.

ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა საჭიროდ მიიჩნია შეცვალოს დაგეგმვის პრაქტიკა. მარტში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს სპეციალური გადაწყვეტილება დაგეგმვის ახალი წესის შესახებ. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ყველგან სწორად გაიგეს ამ გადაწყვეტილებათა მნიშვნელობა? ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ ამის თქმა ჯერ არ შეიძლება. ბევრ ოლქსა და რაიონში კვლავ ებღაუჭებიან დაგეგმვის ძველ სისტემას, არ იყენებენ ყველა შესაძლებლობას, რომ უკვე წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება მნიშვნელოვნად გადიდდეს. აი ფაქტები, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მოეპოვება ამის შესახებ.

სუსანინოს რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა კოსტრომის ოლქში. მას აქვს ყველა შესაძლებლობა 100 ჰექტარ სავარგულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მინიმუმი, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დააწესა, შეასრულოს 1960 წლეზე გაცილებით ადრე. მაგრამ კოლმეურნეობის ღონისძიებებში, რომლებიც საოლქო გაზეთმა „სევერნაია პრავდამ“ გამოაქვეყნა 8 მარტის ნომერში, გათვალისწინებულია წარმოების აღნიშნული დონის მიღწევა კოლმეურნეობაში მხოლოდ 1960 წლისათვის. უფრო მეტიც — ისეთი დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებლების მიხედვით, როგორიც არის მარცვლეულის, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის წარმოება, გეგმა შედგენილია მხოლოდ 1960 წლისათვის! არ არის გათვალისწინებული ამ პროდუქტების წარმოების მოცულობა 1955 წლისა და შემდგომი წლებისათვის.

თუ ასე გეგმავს მოწინავე კოლმეურნეობა, ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, რაღა მაგალითი შეიძლება იყოს იგი საშუალო და ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისათვის? ხოლო თუ ეს გამოქვეყნებულია გაზეთში, უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი გეგმის შემუშავებაში მონაწილეობას იღებდნენ საოლქო ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკებიც. მაშასადამე, მათ სწორად არ ესმით დაგეგმვის ახალი წესი. პარტიის საოლქო კომიტეტისა და რაიკომის მდივნები რომ თვითონ მისულიყვნენ კოლმეურნეობაში, ესაუბრნათ კოლმეურნეებთან, მოთათბირებოდნენ მათ, ელაპარაკნათ აგრონომებთან, ზოოტექნიკოსებთან, მაშინ ისინი დაეხმარებოდნენ კოლმეურნეობას გეგმის სწორად შედგენაში. ასეთი გეგმა სასარგებლო იქნებოდა სხვა კოლმეურნეობებისთვისაც, რომლებიც ისწავლიდნენ მოწინავე კოლმეურნეობის გამოცდილებით. მაგრამ, როგორც ჩანს, კოსტრომის ოლქის ხელმძღვანელებს დღემდე ჯეროვნად ვერ გაუგიათ გადაწყვეტილება დაგეგმვის ახალი წესის შესახებ და არ ეხმარებიან კოლმეურნეობებს სწორად შეასრულონ ეს დიდმნიშვნელოვანი სამუშაო.

და ეს გამონაკლისი როდია. პარტიის ბრიანსკის საოლქო კომიტეტმა და საოლქო აღმასკომმა იმის ნაცვლად, რომ კონკრეტული დახმარება გაეწიათ კოლმეურნეობებისათვის გეგმების შედგენაში, კანცელარიულ-ბიუროკრატული მეთოდებით დაიწყეს ამ მუშაობის შესრულება. 18 მარტს პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. პეტუხოვმა და საოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. დადონოვმა გაგზავნეს ქაღალდი რაიონებში, რომელთაც წინადადებას აძლევდნენ 25 მარტისათვის დაემთავრებინათ პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების ღონისძიებათა შემუშავება. 18 მარტს აძლევენ ასეთი მრისხანე დირექტივას, ხოლო 25 მარტისათვის ყველა კოლმეურნეობისაგან მოითხოვენ გეგმების წარდგენას! მაგრამ ხომ ყველასთვის აშკარაა, რომ ასეთ ვადაში ეს დირექტივა ვერც კი მიაღწევს ზევრ კოლმეურნეობამდე. რატომ იტყუებთ თავს, ამხანაგებო? რაიონებში გაგზავნილი ამ დირექტივის დანართში მოცემულია ნუსხა მაჩვენებლებისა, რომელთა მიხედვით კოლმეურნეობებში უნდა შეადგინონ ღონისძიებანი. ამ ნუსხას უკავია 10 გვერდი და აქვს ორი ათასამდე მაჩვენებელი. საეჭვოა, რომ პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანს და საოლქო აღმასკომის თავმჯდომარეს წაკითხული ჰქონდათ ეს მაჩვენებლები, როცა ხელს აწერდნენ დირექტივას. მათ რომ ყურადღებით წაეკითხათ, ასეთ ბიუროკრატულ ქაღალდს არ გაგზავნიდნენ.

შემდეგ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს მოჰყავს მაგალითი კიროვის ოლქის პრაქტიკიდან. მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ღონისძიებათა შემუშავებისას იქ სერიოზული შეცდომები დაუშვეს. ვიატსკოე პოლიანის რაიონის ღონისძიებებში 1955 წლისათვის დაგეგმილია სულ 20 ათასი ტონა მარცვლეულის მიღება, მაშინ როცა 1953 წელს ამ რაიონის კოლმეურნეობებმა 21 ათასი ტონა მარცვლეული მოიყვანეს. და ეს ხდება ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებების შემდეგ!

ხომ ხედავთ, როგორ გაიგეს ამხანაგებმა ეს გადაწყვეტილებანი, რომლებიც მოითხოვენ მარცვლეულის წარმოების მნიშვნელოვნად გადიდებას. მარცვლეულის წარმოების გადიდება გათვალისწინებული არ არის აგრეთვე ტუისკოეს, ზოგოროდსკოეს, ლეგიაჟიეს, როჟკის რაიონების ღონისძიებებში. კიროვის ოლქის 10 რაიონში ნავარაუდევია მცირეოდენი სიმინდის დათესვა 1955 წელს და შემდგომ წლებში, ამასთან სიმინდი დაგეგმილია მხოლოდ სასილოსედ.

ანალოგიური მაგალითებია ტულის ოლქშიც. ტულის საოლქო გაზეთმა „კომუნარმა“ 15 მარტს გამოაქვეყნა ეფრემოვის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობა „მე-11 ოქტომბრის“ გეგმა 1955-1960 წლებისათვის. ამ გეგმაში 100 ჰექტარ სავარგულ მიწებზე ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის წარმოება, გეგმა შედგენილია მხოლოდ 1960 წლისათვის! არ არის გათვალისწინებული ამ პროდუქტების წარმოების მოცულობა 1955 წლისა და შემდგომი წლებისათვის.

ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ადგილობრივ ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ ბევრი ეკითხებოდა ცენტრალური კომიტეტი, ბევრ ადგილას ჯერ ვერ ეგრძნოთ ცენტრალური კომიტეტის ზრუნვა, ბევრ ადგილას ჯერ ვერ ეგრძნოთ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა. ეს ფაქტი ადასტურებს, ასევე ადასტურებს ის, რომ ბევრ ადგილას ჯერ ვერ ეგრძნოთ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა ბოსტნეულის წარმოებაში. მაგალითად, წველადობა გორკის ოლქში შარშან შეადგენდა 1.075 კილოგრამს ძროხაზე, ტულის ოლქში — 1.165 კილოგრამს. აღებულია კარტოფილიც და ბოსტნეულის მცირე მოსავალი. ამ ფაქტებმა სერიოზულად უნდა დაგვაფიქროს იმაზე, თუ რა მდგომარეობაშია პარტიის გორკისა და ტულის საოლქო კომიტეტების ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობისადმი.

ამხ. ხრუშჩოვი დაწვრილებით ეხება სიმინდის ნათესების მნიშვნელოვნად გაფართოების ამოცანებს, ხაზგასმით აღნიშნავს რა, რომ ეს მთავარია მარცვლეულის რესურსების შევსებისათვის და, მაშასადამე, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის ხრძოლაში. ამის შესახებ კარგად არის ნთქვამი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში. და მაინც ამაზე კიდევ და კიდევ გვიხდება ლაპარაკი, რადგან ბევრმა მუშაკმა, მათ შორის პარტიის ზოგიერთი საოლქო კომიტეტის მდივნებმაც, ვერ შეიგნო სიმინდის მნიშვნელობა, ამ კულტურას უყურებს როგორც მარცვლეულის მეურნეობის ერთგვარ დანამატს, უხალისოდ იბრძვის მისი მოყვანისათვის. საქმისადმი ასეთი მიდგომა დიდ საშიშროებას შეიცავს. საოლქო კომიტეტის ან რაიკომის მდივანი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, როშელიც სიმინდს უყურებს ასეთი პოზიციებიდან, ვერ გადაწყვეტს მარცვლეულის წარმოების გადიდების ამოცანას და, მაშასადამე, ვერ უზრუნველყოფს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდას საჭირო ოდენობით. კალინინის ოლქი, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი ოლქია. იქ მარცვლეული კულტურების, კარტოფილის, ბოსტნეულის მცირე მოსავალი მოჰყავთ. ოლქში მივიწყებულია მეცხოველეობა. საკმარისია ითქვას, რომ თითო ძროხის წველადობა შარშან აქ 898 კილოგრამს შეადგენდა, ხოლო 100 ჰექტარ სავარგულ მიწებზე გაანგარიშებით დამზადებული ფი და შესყიდული მხოლოდ 29 ცენტნერი რძე. კალინინის ოლქის ჩამორჩენა, აღნიშნავს ამხ. ხრუშჩოვი, იმის შედეგია, რომ პარტიის საოლქო კომიტეტი დამაკმაყოფილებლად ვერ ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობას. ამ თათბირზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კალინინის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. კისელიოვი. როგორ აპირებს იგი საქმის გამოსწორებას, როგორ გაიგო ამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი? თურმე ნუ იტყვით, ამხ. კისელიოვი გამოსავალს ხედავს იმაში, რომ ხელი მიჰყოს თალგამურას მოყვანას. თალგამურა, მისი აზრით, აამაღლებს მეცხოველეობას. და ამას ამბობს პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი! როგორღა შეუძლია მას უხელმძღვანელოს ადამიანთა ბრძოლას მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, თუ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შემდეგაც კი აპირებს რძისა და ხორცის მიღებას თალგამურას საშუალებით? აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძირხვენების, მათ შორის თალგამურას მოსავალი კალინინის ოლქში შეადგენს მხოლოდ 30-40 ცენტნერს ჰექტარზე! ვისაც თალგამურას იმედი აქვს, იგი იმ კაცს წაგავს, რომელიც უნიჭო ნავში ჩამჯდარა და ბობოქარ მდინარეში შეცურებულა. მდინარე მას თავის ნებაზე მიაქანებს....

თქვენ თესავთ თალგამურას, ამხ. კისელიოვ, და წელიწადში იღებთ 800-900 კილოგრამ რძეს თვითეულ ძროხაზე, 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე იღებთ მხოლოდ 47 ცენტნერ რძეს, ხოლო აქ გამოსულებმა აღნიშნეს, არაშავნიადაგიანი ზოლის ბევრი საბჭოთა მეურნეობა ჯერ კიდევ მცირე პროდუქციას იძლევა 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე. ეს მოწმობს წარმოების ორგანიზაციის დაბალ დონეს, საბჭოთა მეურნეობებში არსებული რეზერვების ცუდ გამოყენებას. ამასთან რუსეთის სფსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ღრმად არ სწვდებიან თვითეული საბჭოთა მეურნეობის მუშაობას, არ უწევენ მათ კონკრეტულ დახმარებას მეურნეობის განვითარების გეგმების შემუშავებაში, სუსტად უწევენ პროპაგანდას და სუსტად ნერგავენ სანიმუშო საბჭოთა მეურნეობების გამოცდილებას. რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ხელმძღვანელებს არა სურთ მოსწყდნენ ქაღალდებს, თავიანთ კაბინეტებს, არა სურთ ფეხი შედგან საბჭოთა მეურნეობებს მიწაზე.

ამხ. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ საჭიროა სწრაფად დამთავრდეს დამზადების სისტემის გარდაქმნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. საჭიროა მკვეთრად შემცირდეს დამამზადებელი ორგანოების გაბერილი შტატები, გადიდდეს მტს-ების როლი და პასუხისმგებლობა დამზადების საქმეში.

შეეხო რა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის წახალისების სისტემას, ამხ. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ ეს წახალისება პირდაპირ დამოკიდებული უნდა იყოს იმაზე, თუ როგორია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ოდენობა 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე.

არაშავნიადაგიანი ზოლის ოლქებში, განაგრძობს ამხ. ხრუშჩოვი, უდიდესი გამოუყენებელი რეზერვებია, დაუმუშავებელი ყამირია. ასეთი დაუმუშავებელი ყამირია სუფთა ანეულები, რომლებსაც მილიონობით ჰექტარი უკავია. მაგალითად, თუ ამ ანეულებზე დავთესავთ სიმინდს, ჩვენ შეგვლებთ დამატებით მივიღოთ ასობით მილიონი ფუთი მარცვალი და ბევრი სილოსი.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხელმძღვანელი კადრების სწორად შერჩევის საკითხებს. მაგრამ მაშინ ეს ამოცანა არ გადაწყვეტილა. ახლა კი ჩვენ არ გადავუხვევთ ამოცანას, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დასახა. სიმინდი არა მარტო საფურაჟე მარცვლეულია, არამედ, შესანიშნავი სასურსათო კულტურაც არის.

უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ჩვენი მეცნიერი ავრცელებდა არასწორ შეხედულებას, თითქოს სიმინდი მხოლოდ და მხოლოდ სამხრეთის კულტურა იყოს, რომ მისი აღმოცენების ზოლი ძალზე შეზღუდულია, რომ ეს ძალიან შრომატევადი კულტურაა. ეს სწორი არ არის. ახლა ჩვენ სიმინდი, ასე ვთქვათ, „გავათავისუფლეთ“, მიზანშეწონილად ვცანით რა მისი აღება რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში და არ ვუცდით მისი მარცვლის გახმობას. ამით ჩვენ წავშალეთ ამ კულტურის გავრცელების საზღვარი. მე მაქვს, ამხანაგებო, დოკუმენტი იმის შესახებ, რომ სიმინდმა იაკუტიაშიც კი გაიკეთა ტარო!

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ როცა მეცნიერები და პრაქტიკოსები ხელს მოჰკიდებენ სიმინდს, ახლო მომავალში მივიღებთ სიმინდის ისეთ ჯიშებს, რომლებიც დამწიფდება და კარგ მოსავალს მოგვცემს საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე. ეს ადამიანზეა დამოკიდებული.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა სელის წარმოების გადიდების საკითხებს.

ამხ. ხრუშჩოვმა შემდეგ აღნიშნა არაშავნიადაგიანი ზოლის კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დიდი როლი კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდებაში. მან თქვა, რომ ამ კულტურების კვადრატულ-ბუდობრივი და კვადრატული წესით მოყვანის დანერგვა საშუალებას გვაძლევს ერთი წლის განმავლობაში უზრუნველვყოთ მათი წარმოების ისეთი დონე, რომელსაც შეუძლია სავსებით დააკმაყოფილოს ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოთხოვნილება, აგრეთვე მრეწველობის საჭიროება კარტოფილსა და ბოსტნეულზე.

სერიოზულად გააკრიტიკეს საბჭოთა მეურნეობებისადმი რუსეთის სფსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობის დიდი ნაკლოვანებანი. როგორც აქ გამოსულებმა აღნიშნეს, არაშავნიადაგიანი ზოლის ბევრი საბჭოთა მეურნეობა ჯერ კიდევ მცირე პროდუქციას იძლევა 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე. ეს მოწმობს წარმოების ორგანიზაციის დაბალ დონეს, საბჭოთა მეურნეობებში არსებული რეზერვების ცუდ გამოყენებას. ამასთან რუსეთის სფსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ღრმად არ სწვდებიან თვითეული საბჭოთა მეურნეობის მუშაობას, არ უწევენ მათ კონკრეტულ დახმარებას მეურნეობის განვითარების გეგმების შემუშავებაში, სუსტად უწევენ პროპაგანდას და სუსტად ნერგავენ სანიმუშო საბჭოთა მეურნეობების გამოცდილებას. რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ხელმძღვანელებს არა სურთ მოსწყდნენ ქაღალდებს, თავიანთ კაბინეტებს, არა სურთ ფეხი შედგან საბჭოთა მეურნეობებს მიწაზე.

ამხ. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ საჭიროა სწრაფად დამთავრდეს დამზადების სისტემის გარდაქმნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. საჭიროა მკვეთრად შემცირდეს დამამზადებელი ორგანოების გაბერილი შტატები, გადიდდეს მტს-ების როლი და პასუხისმგებლობა დამზადების საქმეში.

შეეხო რა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის წახალისების სისტემას, ამხ. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ ეს წახალისება პირდაპირ დამოკიდებული უნდა იყოს იმაზე, თუ როგორია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ოდენობა 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე.

არაშავნიადაგიანი ზოლის ოლქებში, განაგრძობს ამხ. ხრუშჩოვი, უდიდესი გამოუყენებელი რეზერვებია, დაუმუშავებელი ყამირია. ასეთი დაუმუშავებელი ყამირია სუფთა ანეულები, რომლებსაც მილიონობით ჰექტარი უკავია. მაგალითად, თუ ამ ანეულებზე დავთესავთ სიმინდს, ჩვენ შეგვლებთ დამატებით მივიღოთ ასობით მილიონი ფუთი მარცვალი და ბევრი სილოსი.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხელმძღვანელი კადრების სწორად შერჩევის საკითხებს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მტს-ებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უნდა გაიგზავნონ ნამდვილად ყველაზე მოწინავე, პოლიტიკურად მომწიფებული ადამიანები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მუშაობაში. ამხ. ხრუშჩოვმა მკვეთრად გააკრიტიკა ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც შარშან მტს-ებში სამუშაოდ რეკომენდაცია მისცეს ზოგიერთ უღირს მუშაკს. საჭიროა, თქვა ამხ. ხრუშჩოვმა, გავარკვიოთ, ვინ მისცა რეკომენდაცია ასეთ ადამიანებს, და დავსაჯოთ დამნაშავენი. შარშან დაშვებული შეცდომები არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამეორდეს ახლა, როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით წარმოებს მოწინავე მუშაკთა შერჩევა კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ პოსტებზე სამუშაოდ.

კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოზე რეკომენდებულ უნდა იქნან ისეთი ადამიანები, რომელთა მიზეზით ჩვენ არ გავწითლდებით, რომლებიც იქნებიან პარტიის ნამდვილი წარგზავნილები, მუშათა კლასის წარგზავნილები სოფლად, რომლებსაც უნარი ექნებათ დარაზმონ კოლმეურნენი სოფლის მეურნეობის შესახებ პარტიის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

დასასრულ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, თუ რა გადამწყვეტ როლს ასრულებს ორგანიზატორული მუშაობა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში. ჩვენ, აღნიშნავს იგი, უფრო ღრმად უნდა შევისწავლოთ ცხოვრება, შევისწავლოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოება. საჭიროა, რომ ჩვენი კადრები ბეჯითად სწავლობდნენ მოწინავე ადამიანებისაგან, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნოვატორებისაგან, მდიდრდებოდნენ თვითონ და ამდიდრებდნენ სხვებს მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ცოდნით. საჭიროა, რომ ჩვენი ადგილობრივი ხელმძღვანელები ნაკლებად იძლევდნენ ზოგად დირექტივებსა და მითითებებს და ეწეოდნენ ადამიანებთან უფრო მეტ ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას უშუალოდ კოლმეურნეობებში, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებში, ბრიგადებსა და რგოლებში, თვითეულ ადამიანამდე აღწევდნენ ამ მუშაობაში. ამაშია ჩვენი ხელმძღვანელობის ძალა. მთელი ჩვენი კადრები უნდა მუშაობდნენ მართლაც მგზნებარედ, ინიციატივას იჩენდნენ მინდობილი საქმის შესრულებაში.

ამთავრებს რა სიტყვას, ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს:

— ჩვენ ყველაფერი გვაქვს, რაც კი საჭიროა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ამოცანების გადაჭრისათვის. ჩვენ გვაქვს საბჭოთა კავშირის კომუნიტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შესანიშნავი გადაწყვეტილებანი. სოფლის მეურნეობა განუწყვეტლივ იარაღდება ახალი ტექნიკით. სოფელი ძლიერდება გამოცდილი კადრებით. მიღებულია დაგეგმვის ახალი წესი, რაც ხელს უწყობს ადგილობრივ ხელმძღვანელთა და კოლმეურნეთა ინიციატივას. შემუშავებულია სასო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

კამათი საქართველოს სსრ 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

დეპუტატ ქ. დ. გოდერძიშვილის სიტყვა

(საგარეჯოს რაიონის საგარეჯოს საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! საგარეჯოს რაიონი ქ. თბილისის და რუსთავის ახლოს მდებარეობს. მის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ყველა შესაძლებლობა აქვთ უახლოეს დროში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ამ ქალაქების მშრომელთა ხალჩეულ-ბოსტნეულით, ყურძნითა და ხილით მომარაგების საქმეში.

საგარეჯოს რაიონმა 1954 წელს თავთავიანი კულტურების მოსავლიანობის საქმეში ერთგვარ წარმატებას მიაღწია.

1954 წლის საშემოდგომო თესვა რაიონმა აგროტექნიკურ ვადებში და ხარისხოვნად შეასრულა. სათესი ფართობის 80 პროცენტზე მეტი ჯვარედინად დაითესა. ნათესებს კარგი პირი უჩანს. ასევე აგროტექნიკურ ვადებში და ხარისხოვნად სრულდება საგაზაფხულო სამუშაოები.

შარშან სოფელ გიორგიწმინდის კოლმეურნეობა „განთიადში“ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14 ცენტნერისა თვითეულ ჰექტარზე მივიღეთ 17,2 ცენტნერი, ხოლო ზოგ ფართობზე 25-დან 30-მდე ცენტნერი ხორბალი. 1953 წელთან შედარებით მოსავლიანობა 7,8 ცენტნერით გაიზარდა.

გარკვეული მიღწევები გვაქვს მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში. 1953 წელთან შედარებით ერთიორად გადიდდა ძროხების წველადობა. ეჭვი არ არის, რომ წელს გეგმიურ დავალებას გადაჭარბებით შევასრულებთ. დღეისათვის ერთ საფურაჟე ძროხაზე 300-მდე ლიტრი რძე გვაქვს მიღებული.

კოლმეურნეობა „განთიადმა“ შარშან მიიღო 150 ათასი მანეთი გრძელვადიანი კრედიტი. მაქსიმალურად გამოვიყენეთ ადგილობრივი შემოსავალი, მოვახდინეთ სოფლის ელექტროფიკაცია და რადიოფიკაცია, ავაშენეთ მარცვლეულის შესანახი საწყობები 700-800 ტონის ტევადობისა, ტიპური საძროხე 100 სულისათვის, ტიპური საღორე 30 დედაღორისათვის, ბინა 700 დედაცხვრისათვის, ტიპური საწიწილე 2.500 ფრთისათვის, დასასრულს უახლოვდება ელექტროწისქვილის შენებლობა. მალე განთიადელებს ექნებათ კარგი სასმელი წყალი.

მაგრამ რაიონში ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, რათა გაუმჯობესდეს მოსახლეობის კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება.

რაიონის სოფლები პატარძეული, ხაშმი, წყაროსთავი, ნინოწმინდა, თოხლიაური, მანავი და ჩაილური ელექტროფიცირებული არ არის. კოლმეურნეები სავსებით სამართლიანად მოითხოვენ ელექტროენერგიას, რაც განსაკუთრებით საჭიროა მეცხოველეობის სამუშაოთა მექანიზაციისათვის. ცუდი მდგომარეობაა მეცხოველეობისათვის კულტურული ბინათმშენებლობის საქმეში.

საგარეჯო განთქმულია კარგი სასმელი წყლით, მაგრამ სოფელი წყლის ნაკლებობას განიცდის, რადგან 25 წლის წინათ გაკეთებული წყლის სათავე შეკეთებას მოითხოვს.

რამდენიმე სიტყვა მტს-ების შესახებ, განსაკუთრებით კი საგარეჯოს მტს-ის შესახებ. მისი ტერიტორია შემოუღობავია, არა აქვს მანქანა-იარაღების შესანახი ფარდული. მტს-ი ნაკლებად მარაგდება სათადარიგო ნაწილებით. ჯერ კიდევ არ მიუღიათ კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი სათესი მანქანები, თივის დასაზვინავი მანქანა და სხვ.

ვთხოვ სესიას ბიუჯეტში გაითვალისწინოს ჩემ მიერ ჩამოთვლილი საკითხები: რაიონში სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის გახსნა, ხიდის მშენებლობა, სოფლების ელექტროფიკაცია, რაიონის ცენტრისა და მტს-ების კეთილმოწყობა და ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

ამხანაგო დეპუტატებო! მე მხარს ვუჭერ წინადადებას დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკის 1955 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი. (ტაში).

დეპუტატ გ. ი. ქადაგიძის სიტყვა

(სამტრედიის რაიონის საქალაქო საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი დიადი სამშობლოს მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

ხელმძღვანელობს რა დიდი ლენინის მოძღვრებით, კომუნისტურმა პარტიამ ახალი ძალით აღნიშნა, რომ იგი როგორც წინათ, თავის მთავარ ამოცანად თვლის მძიმე ინდუსტრიის შემდგომ აღმავლობას, რომელიც წარმოადგენს სოციალისტური ეკონომიკისა და ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის საფუძველს, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი ზრდის წყაროს.

მძიმე მრეწველობის ახალ აღმავლობასთან და სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ ზრდასთან ერთად კიდევ უფრო იზრდება ტვირთზიდვა რკინიგზებზე. რკინიგზელები, რომლებსაც შეგნებული აქვთ დასახული ამოცანების დიდი მნიშვნელობა, ისწრაფვიან კონკრეტული საქმეებით უპასუხონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებს.

საბჭოთა რკინიგზელებმა 4 წლის განმავლობაში უკვე შეასრულეს ტვირთბრუნვის ზრდის ხუთწლიანი დავალება.

სამშობლოს წინაშე ვალში არ დარჩენილა ჩვენი, ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალიც. გასულ წელს საერთო დატვირთვის გეგმა რკინიგზამ 106 პროცენტით შეასრულა. დატვირთვის დონე 1953 წელთან შედარებით 11 პროცენტით გაიზარდა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დატვირთვის გეგმა შესრულდა 108 პროცენტით, ხოლო გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დატვირთვა გაიზარდა 14 პროცენტით.

იბრძვის რა დატვირთვის ტემპების და ხარისხის ამაღლებისათვის, ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივმა მეხუთე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული დატვირთვის დავალება გასულ წელს გადაჭარბებით შეასრულა.

სახსრების ეკონომიისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის უყოველდღიური ბრძოლის მეოხებით ამიერკავკასიის რკინიგზა, რომელსაც დოტაცია ეძლეოდა, ახლა რენტაბელური გახდა: 1954 წელს მან სახელმწიფოს მისცა 92 მილიონი მანეთი მოგება, აქედან 30 მილიონი მანეთი ზეგეგმითი მოგება. მიმდინარე წლის ორი თვის განმავლობაში ზეგეგმითმა მოგებამ 28 მილიონი მანეთი შეადგინა.

მაგრამ ამ მიღწევებმა არ უნდა მიჩქმალოს ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც რკინიგზის მუშაობაშია.

ყველაზე დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს მოძრაობის უშიშროების არადამაკმაყოფილებელი უზრუნველყოფა. პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების დახმარებით ჩვენ რაც შეიძლება მოკლე ვადაში უნდა განვამტკიცოთ დისციპლინა თავიდან ბოლომდე. ეს კეთილსასურველი შედეგებს გამოიღებს არა მარტო მოძრაობის უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში, არამედ გზის მუშაობის ყველა სხვა დარგშიც.

დისციპლინის დონის ამაღლებამ ხელი უნდა შეგვიწყოს იმაში, რომ დავამყაროთ წესრიგი მუშაობის ისეთ მნიშვნელოვან უბანზე, როგორიც არის მგზავრთა გადაყვანა. ჩვენ ბევრი საჩივარი მოგვდის მგზავრების ცუდი მომსახურების შესახებ და, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს საჩივრები სავსებით სამართლიანია.

ახლა რკინიგზაზე ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებანი მგზავრთა გადაყვანის გასაუმჯობესებლად. ეს ღონისძიებანი მნიშვნელოვნად დაკავშირებულია კადრების სწორად შერჩევასა და განაწილებასთან.

ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოძრავი შემადგენლობის გამოყენების გაუმჯობესება. უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერ კიდევ არ მიგვიღწევია ვაგონების სწორად და მთლიანად გამოყენებისათვის. ტონობით დატვირთვა ჩამორჩება ვაგონობით დატვირთვას. ეს ზრდის სატრანსპორტო ხარჯებს და ამცირებს იმის შესაძლებლობას, რომ უკეთ დავაკმაყოფილოთ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი ტვირთზიდვის დარგში.

გასაგებია, რომ ვაგონთა დატვირთვის გაზრდების ამოცანა დამოკიდებულია არა მარტო რკინიგზელებზე, არამედ მნიშვნელოვანწილად ტვირთების გამგზავნებზეც. ბევრი საწარმოს და თვით სამინისტროების ხელმძღვანელებს ხშირად ვერ წარმოუდგენიათ იმ ზარალის ოდენობა, რასაც იწვევს ვაგონების ტვირთამწეობის არასაკმაოდ გამოყენება.

რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა და საწარმოებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ ვაგონების დატვირთვის შემჭიდროებას და არ დაუშვან არასრული დატვირთვა დაწესებულ ტექნიკურ ნორმებთან შედარებით.

გასულ წელს რკინიგზამ ვერ დაიცვა ვაგონების ბრუნვის დადგენილი ნორმა, თუმცა წინა წელთან შედარებით ბრუნვა რამდენადმე დაჩქარდა. ჩვენ მთლიანად როდი ვიყენებთ ჩვენს რეზერვებს ამ მნიშვნელოვან საქმეში.

ძალიან დიდია ვაგონების გაცდენა სატვირთო ოპერაციების დროს. ამ დარგში დანაკარგის მნიშვნელოვანი ნაწილი აიხსნება ნაკლოვანებებით გადამწყვეტი სადგურების მუშაობის ტექნოლოგიაში, ამკრეფი მატარებლების მოძრაობის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციით და სხვა წმინდა სარკინიგზო მიზეზებით. მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმას, რომ ვაგონების ბრუნვაზე უარყოფით გავლენას ახდენს არსებითი ნაკლოვანებები მრავალი სამრეწველო საწარმოს მისასვლელ გზებზე. საკმარისია ითქვას, რომ 1954 წელს რკინიგზის მისასვლელ გზებზე ნორმის ზევით დაყოვნებულ იქნა 486 ათასი ვაგონი 3 მილიონ 23 ათასი ვაგონ-საათით.

მრავალ საწარმოში წარმოების ზრდის დროს არ აფართოებენ დატვირთვისა და გადმოტვირთვის ფრონტს, არ ნერგავენ დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციას, არ იყენებენ მუშაობის ახალ, უფრო ნაყოფიერ მეთოდებს.

ნაცვლად იმისა, რომ იბრძოლონ ვაგონების მოცდენის შემცირებისათვის და მიბაძონ ურალის 18 მოწინავე საწარმოს, რომლებმაც ხელი აიღეს ვაგონების ბრუნვის ძველ, ჩამორჩენილ ნორმებზე და თავიანთი ინიციატივით დააწესეს ახალი, პროგრესული ნორმები, მეტი წილი საწარმოები, რომლებსაც ჩვენი გზა ემსახურება, ყოველნაირად ცდილობენ გაადიდონ გაცდენის ნორმები და ავიწყდებათ, რომ ვაგონების დაყოვნების ყოველი ზედმეტი საათი ზარალს აძლევს სახელმწიფოს.

დამახასიათებელია ამ მხრივ პრაქტიკა ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისა, რომლის დირექტორია ამხ. გომელაური. აქ ებღაუჭებიან ვაგონების ბრუნვის დრომოჭმულ, ზღვრულ ნორმებს, მიუხედავად იმისა, რომ ქარხნისა და რუსთავის სადგურის მისასვლელი გზების ტექნიკური აღჭურვილობა დიდად წავიდა წინ.

საწარმოებმა, რომლებსაც მომსახურებას უწევს ამიერკავკასიის რკინიგზა, მაგალითი უნდა გადმოიღონ ურალელებისაგან და შრომის მოწინავე მეთოდების გამოყენების საფუძველზე, აგრეთვე სარკინიგზო სადგურებთან შეთანხმებული მუშაობის მეოხებით შეამცირონ ვაგონების გაცდენა და დააჩქარონ ბრუნვა თავიანთ გზებზე.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენს გზას აქვს დიდი რეზერვები იმისათვის, რომ გაუმჯობესოს მუშაობა თავისი რთული და მრავალფეროვანი მეურნეობის ყველა დარგში. ამოცანა ის არის, რომ მთლიანად გამოვავლინოთ და გამოვიყენოთ ეს რეზერვები.

დასასრულ ნება მიბოძეთ პირობა მივცე სესიას, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივი, რომელიც სამმომე რესპუბლიკას უწევს მომსახურებას, ყველა ღონისძიებას იხმარს, რათა ღირსეულად შეასრულოს მის წინაშე მდგომი ამოცანები და ჩადგეს საბჭოთა კავშირის მოწინავე რკინიგზების რიგში. (ტაში).

დეპუტატ გ. ი. ბერულავას სიტყვა

(აფხაზეთის ასსრ ნაბაკევის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! აფხაზეთის მშრომელებს მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანების განხორციელებაში.

აფხაზეთის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა წარმატებით დაამთავრეს 1954 სამეურნეო წელი. საერთო პროდუქციის გამომვების გეგმა აფხაზეთის მრეწველობამ 21 დეკემბრისათვის შეასრულა. 1953 წელთან შედარებით პროდუქციის ზრდა უდრის 5,5 პროცენტს.

წლიური გეგმა ვადამდე შეასრულეს აფხაზეთის ადგილობრივმა მრეწველობამ და აფხაზეთის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს საწარმოებმა. ყველა ჩვენი სამრეწველო კომბინატი რენტაბელურია.

მაგრამ აფხაზეთის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მუშაობას ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები აქვს. არ სრულდება ასორტიმენტის გეგმა განსაკუთრებით ისეთ მნიშვნელოვან სახეობათა ნაწარმის მიხედვით, როგორიც არის საშენი მასალები და ავეჯი. ჯერ კიდევ მთლიანად არ არის მექანიზებული ტყის საექსპლოატაციო სამუშაოები, ავეჯის წარმოება. ამის შედეგად ჯერ კიდევ დაბალია გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდა ჩამორჩება საგეგმო დავალებებს.

გადაუჭრელი რჩება საკითხი მატერიალურ-ტექნიკური დახმარებისა, რასაც აფხაზეთის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებს უნდა უწევდეს საქართველოს სს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო.

ასრულებდნენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1954 წელს ერთგვარი მიღწევები მოიპოვეს სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდასთან ერთად გაიზარდა კოლმეურნეობათა შემოსავალი, მაღლდება შრომადღის ღირებულება, უმჯობესდება კოლმეურნეთა კეთილდღეობა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე აფხაზეთში ოდნავაც არ შეესაბამება იმ დიდ მოთხოვნებს, რომელსაც ახლა სოფლის მეურნეობას უყენებენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. უყურადღებოდ არის მიტოვებული საზოგადოებრივი მეცხოველეობა. თვითეული საფურაჟე ძროხის საშუალო წველადობა წელიწადში მხოლოდ 230 ლიტრს შეადგენს. დაბალია ღორისა და სხვა პირუტყვის პროდუქტიულობა.

ახლა საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ წარმატებით განახორციელონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

როგორც ცნობილია, აფხაზეთში მოგვყავს ისეთი უძვირფასესი ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურები, როგორიც არის ჩაი, ციტრუსები, თამბაქო, ეთერზეთოვანი კულტურები და სხვ. ეს კულტურები მეტად შრომატევადია და დიდი რაოდენობით მოითხოვს მუშახელს.

აფხაზეთში ყოველწლიურად იზრდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის მოცულობა. თუ 1950 წელს ყველა სატრაქტორო სამუშაოთა მოცულობა რბილ ხვნაზე გადაყვანით 63.253 ჰექტარს შეადგენდა, 1954 წელს ეს მოცულობა გაიზარდა 97.987 ჰექტარამდე. მაგრამ სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების მექანიზაციის საერთო დონე ჩვენში ჯერ კიდევ მეტად დაბალია. ტრაქტორებით ხვნა ხორციელდება მთელი სათესი ფართობის მხოლოდ 35-40 პროცენტზე.

ჩაის პლანტაციების დასამუშავებლად გამოშვებულ ზოგიერთ მანქანას, მაგალითად, „ჩუგს“, კონსტრუქციული და ტექნოლოგიური ნაკლი აქვს.

აფხაზეთი ძალიან მცირე რაოდენობით იღებს მანქანებს მეცხოველეობაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის. აფხაზეთის კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი არ არიან ისეთი უბრალო მოწყობილობითაც კი, როგორიც ავტომატური სარწყულებლებია.

აფხაზეთის კოლმეურნეობებს აკლიათ აგრეთვე საკვების შესამზადებელი მანქანები. ბევრმა კოლმეურნეობამ უკვე ააგო კაპიტალური შენობები სარძეო ფერმებისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი დღემდე მექანიზებული არ არიან.

ვფიქრობ, რომ ავტოსარწყულებლების, მეცხოველეობის ფერმების სხვა მოწყობილობის და ცოცხალი გამწევი ძალისათვის საჭირო ინვენტარის წარმოების ათვისება შეუძლიათ საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სამრეწველო საწარმოებს, მაგრამ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ნაკლებ ინტერესს იჩენს ამ საკითხისადმი და არ აყენებს მას სათანადო ორგანოების წინაშე.

აფხაზეთის კოლმეურნეობებს სხვა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარიც აკლიათ. ჩვენ გვაკლია სასხურებლები, ცხენის გუთნები, განსაკუთრებით ფერდობებზე ნიადაგის დასამუშავებელი მსუბუქი გუთნები და სხვა მანქანები.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აფხაზეთის მშრომელთა კულტურული და სამედიცინო მომსახურება.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ხარჯები ჯანმრთელობის დაცვაზე. 1954 წელს საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნა მედქალაქი ტყვარჩელში და ახალი საავადმყოფო პოლიკლინიკი გაგრაში.

უნდა აღინიშნოს, რომ სამშენებლო და სარემონტო ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად ზოგიერთმა სამინისტრომ ვერ აითვისა მნიშვნელოვანი თანხები. მაგალითად, აუთვისებელი დარჩა კურორტების კეთილმოწყობისათვის გამოყოფილი 2.589,4 ათასი მანეთი.

საქართველოს სსრ 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში აფხაზეთის ასსრ ბიუჯეტის მოცულობა განსაზღვრულია 159.419 ათასი მანეთით. აღნიშნული ასიგნობანი უზრუნველყოფენ იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც 1955 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმით დასახულია აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი გადაუდებელი ღონისძიებისათვის ასიგნობები სრულებითაც არ არის საკმარისი. აფხაზეთის ქალაქებისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობისათვის გადაუდებელ სამუშაოთა შესასრულებლად საჭიროა გათვალისწინებულ იქნას დამატებითი ასიგნობანი 600 ათასი მანეთის რაოდენობით და საოპერაციო ხარჯებისათვის — 500 ათასი მანეთი.

ამხანაგო დეპუტატებო! ვუჭერთდები წინადადებას ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ. (ტაში).

საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის საკითხისათვის

როგორც პრესა იუწყებოდა, 16 თებერვალს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ტოკიოში ა. ი. დომნიცკიმ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან იაპონიის მუდმივი მეთვალყურის ელჩის სავადას 5 თებერვლის ნოტის პასუხად განცხადება გაუკეთა იაპონიის პრემიერ-მინისტრ ხატოიამას. ამ განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა მთავრობა კმაყოფილებით იღებს იაპონიის მთავრობის განცხადებას, რომელსაც ნოტა შეიცავს, იმის შესახებ, რომ იგი თანახმაა საბჭოთა მთავრობის წინადადებაზე — მოხდეს აზრთა გაცვლა იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ნორმალიზაციის მიმართულებით შესაძლო ნაბიჯების საკითხზე და მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება ამ მიზნით.

23 თებერვალს იაპონიის ელჩმა სავადამ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ა. ა. სობოლევს გადასცა იაპონიის მთავრობის საპასუხო ნოტა. ამ ნოტაში იაპონიის მთავრობამ განაცხადა, რომ მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ნორმალიზაციის საკითხზე და რომ მისი სურვილია მოლაპარაკების ადგილად არჩეულ იქნას ნიუ-იორკი.

4 აპრილს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ტოკიოში ა. ი. დომნიცკი შეხვდა იაპონიის მთავრობის წარმომადგენელს ბ-ნ მაცუმოტოს და გადასცა მას შემდეგი შინაარსის განცხადება:

„იაპონიის პრემიერ-მინისტრ ბატონ ხატოიამასათვის გადასაცემად.

23 თებერვალს იაპონიის მეთვალყურემ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ელჩმა სავადამ სსრ კავშირის მუდმივ წარმომადგენელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ელჩ სობოლევს გადასცა ნოტა საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ განზრახული მოლაპარაკების ადგილის საკითხზე.

საბჭოთა მთავრობა, რომელმაც შეისწავლა იაპონიის მთავრობის აღნიშნული ნოტა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შექმნილ პირობებში საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოლაპარაკების ადგილად მიზანშეწონილია არჩეულ იქნას უშუალოდ დაინტერესებული ქვეყნების ერთ-ერთი დედაქალაქი, სახელდობრ ტოკიო ან მოსკოვი.

საბჭოთა მთავრობა ამასთან ითვალისწინებს, რომ პრემიერ-მინისტრ ბ-ნ ხატოიამას ცნობილ განცხადებაში ქალაქ ფუკუოკასა და კაგოსიმაში (5 და 7 თებერვალს) ნათქვამი იყო, რომ შესაძლებელია აღნიშნული მოლაპარაკების წარმოება მოსკოვში ან ტოკიოში. ამავე აზრს გამოთქვამდნენ იაპონიის მხარის წარმომადგენლებიც ტოკიოში საბჭოთა წარმომადგენელთან საუბრების დროს.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, საბჭოთა მთავრობას სურს გაიგოს იაპონიის მთავრობის აზრი იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოლაპარაკება ურთიერთობის ნორმალიზაციის საკითხზე მოეწყოს მოსკოვში ან ტოკიოში“.

იაპონიის მთავრობის პასუხი საბჭოთა მთავრობის 4 აპრილის განცხადებაზე ჯერ არ არის მიღებული.

მაგრამ, უცხოეთის პრესის ცნობებით, საბჭოთა მთავრობის აღნიშნული განცხადება 6 აპრილს განიხილეს იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის სხდომაზე. თავის გამოსვლაში ამ სხდომაზე იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა სიგემიცუმ, რომელიც შეეხო საბჭოთა მთავრობის განცხადების შინაარსს, კერძოდ, თქვა, რომ იაპონიის მხარის წარმომადგენლებს ტოკიოში საბჭოთა წარმომადგენელთან საუბრების დროს თითქოს არ განუცხადებიათ, რომ შესაძლებელია საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოლაპარაკების წარმოება მოსკოვში ან ტოკიოში.

როგორც ცნობილი გახდა, ბ-ნ სიგემიცუს ეს მტკიცება არ შეესაბამება ფაქტებს. ნამდვილად საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთან ა. ი. დომნიცკისთან შეხვედრების დროს იაპონიის მხარის წარმომადგენლები გამოთქვამდნენ აზრს, რომ მოლაპარაკება საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ შეიძლება მოეწყოს მოსკოვში ან ტოკიოში. (საკდესი).

ინდოეთის პარლამენტის დელეგაციის ჩამოსვლისათვის სსრ კავშირში

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ და ინდოეთის პარლამენტმა ერთმანეთს გაუგზავნეს წერილები იმ საკითხზე, რომ ინდოეთის პარლამენტის დელეგაცია ეწვიოს საბჭოთა კავშირს. წერილების ტექსტი ქვემოთ ქვეყნდება.

გატონ
გ. ვ. მავალანკარს,
სახალხო პალატის სპიკერს.

დოქტორ
ს. რადჰაკრიშნანს,
შტატების საბჭოს თავმჯდომარეს.

ნიუ-დელი, ინდოეთი.

1955 წლის 21 თებერვალი.

სურს რა ხელი შეუწყოს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხთა მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს საბჭოს პატივი აქვს სთხოვოს ინდოეთის პარლამენტის ორივე პალატის წევრთა დელეგაციას ეწვიოს საბჭოთა კავშირს.

მადლობელი ვიქნებით შეგვატყობინოთ თანხმობა ჩვენს ამ მიწვევაზე და სსრ კავშირში თქვენი დელეგაციის ჩამოსვლის მისაღები დრო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
კავშირის საბჭოს თავმჯდომარე
ა. ვოლკოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ლაცისი.

კავშირის საბჭოს
თავმჯდომარეს
ა. პ. ვოლკოვს

ეროვნებათა საბჭოს
თავმჯდომარეს
ვ. ტ. ლაცისს

1955 წლის 25 მარტი.

ვადასტურებთ, რომ მივიღეთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს 1955 წლის 9 თებერვლის დეკლარაცია, აგრეთვე თქვენი 1955 წლის 21 თებერვლის დეპეშა, რომლითაც ინდოეთის პარლამენტის დელეგაცია მიწვეულია საბჭოთა კავშირში, რათა განვითარდეს და შემდგომ განმტკიცდეს ჩვენი ქვეყნების ხალხთა შორის არსებული მეგობრული ურთიერთობა. მიწვევა მიღებულია მადლობით და ვვარაუდობთ, რომ დელეგაცია, რომელიც შედგება პარლამენტის ორივე პალატის წევრთაგან, საბჭოთა კავშირში ჩამოვა მაისში.

ინდოეთის სახალხო პალატის სპიკერი
გ. ვ. მავალანკარი.

ინდოეთის შტატების საბჭოს თავმჯდომარე
დოქტორი ს. რადჰაკრიშნანი.

ვ. ი. ლენინის ძეგლი ლენინგრადის ვაგზლის პერონზე

6 აპრილს მოსკოვში ლენინგრადის ვაგზლის პერონზე დაიდგა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძეგლი.

1918 წლის მარტის დამდეგს პეტროგრადიდან მოსკოვში გადავიდა საბჭოთა მთავრობა ვ. ი. ლენინის მეთაურობით. ამ ვაგზალში მოსკოვის მშრომელნი აღფრთოვანებით შეხვდნენ თავიანთ დიდ ხელადს.

ვ. ი. ლენინის ბრინჯაოს ქანდაკება დადგმულია რუხი გაპრიალებული გრანიტის მასიურ კვარცხლბეკზე. ფიგურის სიმაღლეა 4,5 მეტრი. იგი ჩამოასხეს ლენინგრადის ქარხანა „მონუმენტ-სკულპტურაში“ ცნობილი საბჭოთა მოქანდაკის სტალინური პრემიის ლაურეატის ბ. ბ. იაკინოს მოდელის მიხედვით. (საკდესი).

სიტყვები იბეჭდება შემოკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავაუმჯობესოთ პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა სოფლად

პარტიის წითელწყაროს რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფების მუშაობის პრაქტიკიდან

★ ★

სწორად შევარჩიოთ და აღვზარდოთ კადრები

თავისი მუშაობა რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფმა გამარჯვების მტს-ის ზონაში კადრების შესწავლით, განაწილებით და აღზრდით დაიწყო. ოზაანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობა წლების განმავლობაში ვერ ასრულებდა სახელმწიფო გეგმებს. კოლმეურნეობის გამგეობა და პარტიული ბიურო სუსტად იყენებდნენ ადგილობრივ რეზერვებს, ხელშეწყობის ნაცვლად აფერხებდნენ მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებას.

საჭირო იყო ამ კოლმეურნეობის განმტკიცება კადრებით, უნარიანი ხელმძღვანელებით. პარტიულმა ორგანიზაციამ ყურადღება მიაქცია ადამიანებს და დაინახა, რომ რაიონში ცოტა როდია უნარიანი, საქმის მცოდნე მუშაკი, რომლებსაც შეუძლიათ წარმატებით გაუძღვნენ საარტელო მეურნეობას. კოლმეურნეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სოფლის მეურნეობის სპეციალისტი ი. ლომაშვილი. მას უმაღლესი განათლება და სათანადო საწარმოო გამოცდილება აქვს. ამხ. ლომაშვილმა პარტიუროს მდივან შ. ნატროშვილთან ერთად შეძლო კოლმეურნეობაში საქმის გამოსწორება.

გამარჯვების მტს-სა და მისი ზონის კოლმეურნეობებში ამჟამად უმაღლესი განათლების მქონე 15 სპეციალისტი მუშაობს. შერჩეული არიან სატრაქტორო ბრიგადების კვალიფიციური ბრიგადირები. კოლმეურნეობები განმტკიცებული არიან აგრონომების, ფერმების გამგეების, ბრიგადირების მომზადებული კადრებით.

მაგრამ მარტო კადრების შერჩევა და სწორად განაწილება არ კმარა. ამასთან აუცილებელია სისტემატურად ვიმუშაოთ კადრებთან, აღვზარდოთ ისინი კომუნისტური სულისკვეთებით, გამოვუმუშაოთ მათ მაღალი მომთხოვნელობა. საჭიროა დროულად შევამჩნიოთ მუშაკის სუსტი მხარეები და შეცდომები, მაშინვე მივუთითოთ და დავაყენოთ სწორ გზაზე. სოფელ გამარჯვების ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ნაკვეთს ტრაქტორისტი ხ. ფიროსმანაშვილი ტარიბანაში დაბალხარისხოვნად, არასრული სიღრმით ხნავდა. არ შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ ტრაქტორისტს ასე უსულგულოდ ემუშავნა. აღნიშნული ფაქტი განხილულ იქნა საწარმოო თათბირზე მტს-ში. ამის შემდეგ ტრაქტორისტებმა უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოჰკიდეს ხელი საქმეს. ამ კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში სუსტად ემზადებოდნენ დოლისათვის. პარტორგანიზაციამ მიუთითა ფერმის გამგე შ. ბიკაშვილს, რომელმაც ამის შემდეგ მუშაობა გააუმჯობესა, სერიოზული ყურადღება მიაქცია დოლისათვის მზადებას. ამის შედეგად ფერმაში დოლი კარგად ჩატარდა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება კადრების სწავლებას. საკოლმეურნეო აქტივი აგროზოოტექნიკურ კურსებზე სწავლობს. მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლი გვაქვს, დაბალია მეცადინეობის დონე, არის გაცდენის შემთხვევები. სატრაქტორო ბრიგადების ხელმძღვანელებისათვის, მართალია, იმართება ლექციები, მოხსენებები, საუბრები, მაგრამ ამას სისტემატური ხასიათი არა აქვს. არადამაკმაყოფილებლად მუშაობს მტს-ის ლექტორიუმი. საკმაოდ არ ეწყობა ლექციები სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

კადრების სწორად შერჩევამ და განაწილებამ, მათთან სისტემატურმა მუშაობამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ მტს-მა და მისი ზონის კოლმეურნეობებმა მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვეს. მათ შარშან ნათესები კარგად დამუშავეს და ხორბლის უხვი მოსავალი მოიყვანეს, მაგრამ მეცხოველეობაში ჯერ კიდევ ძლიერ ჩამოვრჩებით.

ამჟამად მექანიზატორები და კოლმეურნეები წარმატებით ასრულებენ საგაზაფხულო სამუშაოებს.

კადრებთან მუშაობის შემდგომი გაძლიერებით ადმოვფხვრით ნაკლოვანებებს, უზრუნველყოფთ მოპოვებული მიღწევების განმტკიცებას და გაფართოებას.

ს. მაჭავარიანი,
რაიკომის მდივანი გამარჯვების მტს-ის ზონაში.

პარტიის წითელწყაროს რაიკომის მუშაკები ერთმანეთს ხშირად უზიარებენ თავიანთ აზრს პარტიული მუშაობის ცალკეულ საკითხებზე. **სურათზე:** რაიკომის მდივნები შირაქის, გამარჯვების და ქედის მტს-ების ზონებში ა. ბალაშვილი, ხ. ხოსროშვილი, ხ. მაჭავარიანი და ზონის ინსტრუქტორები შ. ბენაშვილი, შ. ლეკაშვილი, რ. თეთვაძე მსჯელობენ ყურნალ „პარტიინაია ჟიზნის“ მეოთხე ნომერში გამოქვეყნებულ ა. დუბოვის წერილზე „პარტიული ჯგუფი ბრიგადაში“.

ფოტო შ. გოქაძისა.

★

პროდუქტიულობის ამაღლება მთავარი ამოცანაა

იმყოფებოდეს მასებში, კოლმეურნეთა შორის, სწავლობდეს საკოლმეურნეო აქტივს, კადრებს, რიგით ადამიანებს, სისტემატურად მუშაობდეს მათთან, რათა სწორად და მთელი სიღრმით შეისწავლონ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანები და მთელი ენერგიით იმუშაონ მათი განხორციელებისათვის — აი თვითეული პარტიული მუშაკის უპირველესი მოვალეობა.

მე ხშირად ვიმყოფები მემინდვრეობისა და სატრაქტორო ბრიგადებში, მეცხოველეობის ფერმებში, უმუალოდ იქ, სადაც მუშაობენ და მატერიალურ დოვლათს ქმნიან კოლმეურნეები, მექანიზატორები და სპეციალისტები, ვეცნობი მათს საქმიანობას. ეს საშუალებას მაძლევს უფრო ღრმად ჩავწვდე ბრიგადებისა და ფერმების ყოველწვრილმანს, კარგად შევისწავლო თვითეული მუშაკი, მისი უარყოფითი და დადებითი მხარეები, სწორად შევარჩიო და გავანაწილო კადრები, დროზე შევამჩნიო და გამოვასწორო ნაკლოვანებანი.

დიდხანს დავყავი, მაგალითად, შირვანის საზამთრო საძოვრებზე. ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში მწყემსები საყვედურს გამოთქვამდნენ ფერმის გამგის ფ. ჩოხელის მიმართ. შევისწავლე მისი მუშაობა. გამოირკვა, რომ ფ. ჩოხელი დაბალი განათლებით არის, ამასთან უინიციატივო მუშაკია. მას ეზარებოდა მეცხვარეობის ბრიგადებში მისვლა, არ ზრუნავდა საკვების დამზადებისა და მოზიდვისათვის. ამის გამო 1954 წლის ზამთარში ბევრი ცხვარი და ბატკანი დაიხოცა. ჩემი რჩევით კოლმეურნეობის პარტორგანიზაციამ იმსჯელა ფერმაში შექმნილ მდგომარეობაზე, სასტიკად გააკრიტიკა ფ. ჩოხელი და დააყენა საკითხი ფერმის გამგედ დაენიშნათ ინიციატივიანი, მცოდნე და საქმის მოყვარული მ. ბეგოიძე. უკვე ათი თვეა მ. ბეგოიძე ფერმის გამგედ მუშაობს და მისი ხელმძღვანელობით ფერმამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა.

ამავე კოლმეურნეობის მეძროხეობისა და მეკამეჩოების ფერმებში თვითეულ საფურაქე ძროხაზე სამეურნეო წლის დასაწყისიდან პირველ თებერვლამდე მხოლოდ 57 ლიტრი რძე მიიღეს. ასეთი დაბალი მაჩვენებელი იმის შედეგი იყო, რომ ფერმებში ირღვეოდა შრომის დისციპლინა, მწველავები თვითნებურად მიდიოდნენ შინ და ძროხებს უყურადღებოდ ტოვებდნენ. შემოღებული არ იყო ბაგური კვება და ხბოების ხელზე გამოკვება, პირუტყვს საკვებს შეუმზადებლად აძლევდნენ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ, კოლმეურნეობის პარტორგანიზაციამ განიხილა ფერმებში შექმნილი მდგომარეობა. მეძროხეობის ფერმის გამგე ვ. მინდელაშვილი, რომელმაც თავი ვერ გაართვა საქმეს, განთავისუფლებულ იქნა. ფერმის გამგედ შერჩეულია უმაღლესი განათლების მქონე ზოოტექნიკოსი ვ. ტრაპაიძე. ფერმაში საშუალოდ დამატებით გაიგზავნენ კომუნისტები ბ. ბუხტური, ჯ. კობიაშვილი და ს. არაბული.

ამჟამად ფერმაში 100 სული ძროხა გადაყვანილია ბაგურ კვებაზე, დაიწყო ხბოების ხელზე გამოკვება, გაუმჯობესდა პირუტყვის მოვლა-პატრონობა. გაიზარდა წველადობა. თებერვალში მეძროხეობის ფერმაში მოწველილ იქნა 12.000 ლიტრი რძე, ეს მაშინ, როცა იანვარში მხოლოდ 6.000 ლიტრი რძე მიიღეს. მარტსა და აპრილში კიდევ უფრო გაუმჯობესდა მდგომარეობა.

მეცხოველეობას შირაქის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში დიდი ხვედრითი წონა აქვს. 14 ფერმასა და 62 ბრიგადაში 43 ათას სულზე მეტი პირუტყვია. სულადობის გეგმა შესრულებულია, მაგრამ ცუდი მდგომარეობა გვაქვს პროდუქტიულობის მხრივ. კერძოთ ეს ითქმის ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაზე. ამიტომ პარტიის რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი ამჟამად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამ კოლმეურნეობას.

ა. ბალაშვილი,
რაიკომის მდივანი შირაქის მტს-ის ზონაში.

ფართოდ გავაჩაღოთ მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა

პარტიის წითელწყაროს რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი შირაქის მტს-ის ზონაში უნარიანად წარმართავს საკოლმეურნეო ძალებს სიძნელეებთან საბრძოლველად, ახლის, მოწინავის გამარჯვებისათვის. როცა შარშან, გაზაფხულზე ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეობის პირველი ბრიგადა, რომელსაც ი. რობიტაშვილი ხელმძღვანელობს, განსაკუთრებული მზრუნველობით შეუდგა ჯეჯილის ფარცხვას და ნათესებში სასუქის შეტანას, ინსტრუქტორთა ჯგუფმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ მხარი დაუჭირეს ამ თაოსნობას.

პარტიულმა ორგანიზაციამ აგიტატორების მეშვეობით კოლმეურნეთა შორის ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა გაიარა. პრაქტიკული შედეგებით კოლმეურნეები დარწმუნდნენ ი. რობიტაშვილის ბრიგადის გამოცდილების უპირატესობაში და ახლა ყველა ბრიგადა ამ შეთოდით მუშაობს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა ამოცანად დაგვისახა სიმინდის ნათესების მკვეთრად გადიდება და განსაკუთრებით სიმინდის წარმოების გადიდება ორი მოსავლის მოყვანის გზით. ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივან გ. ბოსტაშვილთან საუბრის დროს მოსაზრება გამოთქვეს შეგვესწავლა ლაგოდეხელ მოწინავეთა გამოცდილება სიმინდის ორი მოსავლის მოყვანის საქმეში. მართლაც მალე ეს საკითხი პარტიული ორგანიზაციის მსჯელობის საგანი გახდა. კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს წელს 36 ჰექტარ ნაწვერალზე დათესონ სიმინდი და მოიყვანონ სიმინდის მეორე მოსავალი.

წითელწყაროს რაიონში მეცხოველეობის განვითარებაში ყველაზე კარგი შედეგი აქვს სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობას. ზემო მაჩხაანისა და ზემო ქედის კოლმეურნეობები პარტორგანიზაციების თაოსნობით შეუდგნენ ამ მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილების შესწავლას და გავრცელებას.

ინსტრუქტორთა ჯგუფი ცდილობს ფართოდ მოაწყოს მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებას. ზონაში შექმნილია 5 აგიტკოლექტივი. წელს ზემო მაჩხაანის მეცხოველეობის ფერმებთან შეიქმნით აგიტპუნქტი, რომელიც მომსახურებას უწევს მეძროხეობის, მეკამეჩოების, მეცხვარეობის ფერმების აგიტატორებსა და მწყემსებს. ასზე მეტი აგიტატორი კოლმეურნეებსა და მექანიზატორებს განუმარტავს შრომის ნოვატორულ მეთოდებს და იბრძვის მოწინავე გამოცდილების წარმოებაში ფართოდ დანერგვისათვის.

ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობაში 3 ჰექტარზე ნიადაგი მოხნულია ტ. მალცევის მეთოდით ფრთაახსნილი გუთნით.

მოწინავე გამოცდილებისა და აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევების პროპაგანდა რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის ღვიძლი საქმეა.

შ. ბენაშვილი,
რაიკომის ინსტრუქტორი შირაქის მტს-ის ზონაში.

★ ★



სოფელ ოზაანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში მოწინავე ტრაქტორისტი ზ. ზურაშვილი და კოლმეურნე დ. ალადაშვილი კვადრატულ-ბუდობრივად თესავენ მზესუმზირას.

შეჯიბრების ძალა

მასების საწარმოო აქტივობის ამაღლების ნაცადი საშუალებაა სოციალისტური შეჯიბრება. შრომის ეს კომუნისტური მეთოდი ხელს უწყობს ნაკლოვანებათა დაძლევას, მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვას და ჩამორჩენილთა დაწინაურებას მოწინავეთა დონემდე.

წითლის მტს-ის მუშაობის გაუმჯობესებას დიდად შეუწყო ხელი იმან, რომ შარშან იგი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება მთელ ჩვენს ქვეყანაში სახელგანთქმულ კრასნოდარის მხარის მედვედოვკის მტს-თან, გადმოიტანა და თავის საქმიანობაში ფართოდ დანერგა მედვედოვკელთა გამოცდილება.

წელს ეს შეჯიბრება კიდევ უფრო გაფართოვდა. შეჯიბრებაში ჩაებნენ ამ ორი მტს-ის ზონის მოწინავე კოლმეურნეობები — ყუბანის კოლმეურნეობა „პუტ კ კომუნიზმუ“ და წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობა. სოციალისტური შეჯიბრება მიმართულია იქითკენ, რომ წარმატებით შესრულდეს საგაზაფხულო სამუშაოები, გაუმჯობესდეს ნათესების დამუშავება, გაიზარდოს მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, პრაქტიკაში დაინერგოს ღორის გასუქების ჩქაროსნული მეთოდი, ნაწვერალზე სიმინდის თესვა და ორი მოსავლის მიღება.

სოციალისტური შეჯიბრების ძალა მის მასობრიობაშია. ამჟამად მტს-ის ზონაში არ არის არც ერთი სატრაქტორო და მემინდვრეობის ბრიგადა, მეცხოველეობის ფერმა, არ არის არც ერთი მექანიზატორი და კოლმეურნე, რომელიც ჩაბმული არ იყოს სოციალისტურ შეჯიბრებაში. ინსტრუქტორთა ჯგუფი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები აწყობენ საუბრებს, ლექციებს, მოხსენებებს. ისინი კოლმეურნეებსა და მექანიზატორებს აცნობენ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს და უჩვენებენ ნაკისრ ვალდებულებათა განაღდების გზებს. მოწყობილია საპატიო დაფები.

არასწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველაფერი რიგზეა. ზოგჯერ ამ საქმეში თავს იჩენს ფორმალიზმი, ხოლო ჩვენ, რაიკომის ინსტრუქტორები, დროზე ვერ ვამჩნევთ და ვერ ვიღებთ ზომებს მათ აღმოსაფხვრელად. სოფელ წითელწყაროს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში შეჯიბრება, მართალია, გაშლილია, მაგრამ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას ნაკლები ყურადღება ექცევა. ამის შედეგია ის, რომ ამ კოლმეურნეობაში შესრულებული არ არის მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდის დავალება. ამავე კოლმეურნეობაში მემინდვრეობის პირველმა ბრიგადამ, რომელსაც კ. პიჩინსკი ხელმძღვანელობს, არათუ ვერ გაანადგა ნაკისრი ვალდებულება, მოსავლიანობის გეგმის შესრულებაშიც კი ჩამორჩა — ჰექტარზე 20-ის ნაცვლად 6 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა.

კოლმეურნეობებში ბევრი გამოუყენებელი რეზერვია. ჩვენი მოვალეობაა გამოვავლინოთ და გამოვიყენოთ ეს რეზერვები, წარმატებით შევასრულოთ საგაზაფხულო სამუშაოები, მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ მიმდინარე წლის უხვ მოსავალს. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი სოციალისტურ შეჯიბრებას, მის უნარიანად მოწყობას ენიჭება.

მ. ჯავახიშვილი,
რაიკომის ინსტრუქტორი წითლის მტს-ის ზონაში.

★ ★

ღრმად შევისწავლოთ საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკა

წლების განმავლობაში რაიონში ყველაზე ჩამორჩენილ კოლმეურნეობებად ითვლებოდნენ ქედის მტს-ის ზონაში შემავალი არხილოსკალოს, ქვემო ქედისა და საბათლოს კოლმეურნეობები. ამ კოლმეურნეობებში მეტად დაბალ მოსავალს იღებდნენ, ყურადღება არ ექცეოდა მეცხოველეობის განვითარებას, შრომადღეზე კოლმეურნეებს მცირე შემოსავალი უნაწილდებოდათ.

განვლილ ერთ წელიწადში საგრძნობლად შეიცვალა ზონის კოლმეურნეობათა მდგომარეობა. 1954 წელს, წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხორბლის საშუალო მოსავლიანობა, რომელმაც ჰექტარზე 20 ცენტნერის გადააჭარბა. ამაღლდა შრომადღის ღირებულება. არხილოსკალოს კოლმეურნეობაში შარშან შრომადღეზე განაწილდა 6 კილოგრამი ხორბალი წინა წელს განაწილებული 1 კილოგრამის ნაცვლად.

პარტიის რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი ცდილობს ღრმად ჩასწვდეს წარმოების ეკონომიკას და მაქსიმალურად აამოქმედოს კოლმეურნეობათა საწარმოო შესაძლებლობანი. შარშან ჩვენ ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ ქვემო ქედისა და არხილოსკალოს კოლმეურნეობები მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იყვნენ. მაგალითად, ქვემო ქედის კოლმეურნეობას 1954 წლის დასაწყისისათვის სხვადასხვა ორგანიზაციებისა და პირების მილიონ მანეთზე მეტი ვალი ჰქონდა. ინსტრუქტორთა ჯგუფმა აქტივზე დაყრდნობით გაიჩაღა ბრძოლა საარტელო მეურნეობის განსამტკიცებლად. კოლმეურნეობის ეკონომიკის შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ საჭირო იყო მზესუმზირას ნათესების გადიდება. საქმე ის არის, რომ ჩვენი მტს-ის ზონის კოლმეურნეობებს მცირე რაოდენობით აქვთ გაშენებული მრავალწლიანი ნარგავები — ვენახები, ხეხილის ბაღები, საიდანაც შეიძლებოდა დიდი ფულადი შემოსავლის მიღება. ამიტომაც ვურჩიეთ კოლმეურნეობებს ერთიორად გაეზარდათ მზესუმზირას ნათესები, რომ მზესუმზირას მოსავლის რეალიზაციით გაედიდებინათ ფულადი შემოსავალი. ჩვენი რჩევა მიიღეს. ზემო ქედის კოლმეურნეობამ მზესუმზირა გეგმით გათვალისწინებული 425 ჰექტარის ნაცვლად 780 ჰექტარზე დათესა და აიღო უხვი მოსავალი, რომლის გაყიდვით კოლმეურნეობას 900 ათას მანეთზე მეტი შეემატა.

მზესუმზირას ნათესების გადიდებასთან ერთად ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ხეხილის ბაღებისა და ვენახის გაშენებაზე. კოლმეურნეობებს ამ კულტურების განვითარებისათვის შესაფერისი ნაკვეთები აქვთ ალაზნისა და ზილიჩის ველებზე. კოლმეურნეებმა მოიწონეს რჩევა და შეუდგნენ მის განხორციელებას. არხილოსკალოს კოლმეურნეობამ შარშან ვენახი 10 ჰექტარზე გააშენა, ხოლო ქვემო ქედის კოლმეურნეობამ — 8 ჰექტარზე. ამჟამად ქვემო ქედის კოლმეურნეობას ახალი ვენახის გასაშენებლად პლანტაჟი მომზადებული აქვს 12 ჰექტარზე, არხილოსკალოს კოლმეურნეობას — 10 ჰექტარზე, საბათლოს კოლმეურნეობას — 5 ჰექტარზე.

არხილოსკალოს კოლმეურნეობაში შესწავლილ იქნა ალაზნის არხის გაგრძელების შესაძლებლობა ამ კოლმეურნეობის ფერმისპირა 200 ჰექტარი ნაკვეთის მოსარწყავად. კოლმეურნეობის შეკვეთით ალაზნის არხის სასისტემო სამმართველო უკვე შეუდგა სამუშაოთა დაპროექტებას და მალე გაჩაღდება არხის გაყვანის სამუშაოები. ამ ახალ სარწყავ ადგილებში გაშენდება ვენახი, უდიდესი ნაწილი კი დაათმობა სიმინდს და შესაძლებელი იქნება მისი ორი მოსავლის მიღება.

ჩვენი ზონის კოლმეურნეობებს მეცხოველეობის განვითარების საუკეთესო პირობები აქვთ, მაგრამ ეს პირობები დღემდე გამოუყენებელია. ამჟამად ჩვენ ვახორციელებთ ღონისძიებებს მეცხოველეობის განვითარებისათვის.

რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი მთელ თავის მუშაობას იქითკენ წარმართავს, რომ განუხრელად სრულდებოდეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტის, ივნისისა და იანვრის პლენუმების დადგენილებები.

ს. ხოსროშვილი,
რაიკომის მდივანი ქედის მტს-ის ზონაში.

კომკავშირელები სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლის ავანგარდში

ინსტრუქტორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა კომკავშირულ ორგანიზაციებთან, სოფლის ახალგაზრდობასთან მუშაობა.

გამარჯვების მტს-ის ზონაში კომკავშირული ორგანიზაციები სათავეში უდგანან კოლმეურნე ახალგაზრდების საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას, თავიანთი წვლილი შეაქვთ მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის საქმეში. ზონის კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებში მუდმივ სამუშაოდ წავიდა 25 კომკავშირელი და კოლმეურნე ახალგაზრდა. ბევრმა კომკავშირელმა სახელი გაითქვა მაღალნაყოფიერი შრომით. სოფელ არბოშიკის ალენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა კომკავშირელმა ზ. უთრუთაშვილმა 120 ტონა თივა დაამზადა და 5 ტონა სილოსი ჩადო. ამჟამად იგი მეცხოველეობის ფერმაში მუშაობს და პირუტყვის კარგი მოვლით ზრდის პროდუქტიულობას.

ამ კოლმეურნეობის კომკავშირელები და ახალგაზრდები შესანიშნავი თაოსნობით გამოვიდნენ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების პასუხად მათ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესებისათვის. არბოშიკელმა ახალგაზრდებმა ეკისრეს გაზაფხულზე ჯაგნარისა და ქვა-ღორღისაგან გაწმინდონ 50 ჰექტარი ფართობი, ხოლო 200 ჰექტარზე შეიტანონ მინერალური სასუქი. ეს ვალდებულება მათ პირნათლად გაანაღდეს.

არბოშიკელი კომკავშირელებისა და კოლმეურნე ახალგაზრდების თაოსნობას მხურვალედ დაუჭირეს მხარი რაიონის სხვა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ამჟამად თავდადებით მუშაობენ ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების გასაწმენდად და გასასუფთავებლად.

კარგად მუშაობს მტს-ის კომკავშირული ორგანიზაციაც. კომკავშირელები შრომის ავანგარდში დგანან. კომკავშირელთა მაღალი აქტივობა იმის შედეგიც არის, რომ მტს-ის პარტიული ორგანიზაცია სერიოზულ ყურადღებას აქცევს მათთან მუშაობას. მტს-ის პარტბიუროს მდივანი ი. ყოჩიაშვილი სისტემატურ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევს კომკავშირულ ორგანიზაციას მუშაობის დაგეგმვაში, კრების მომზადება-ჩატარებაში, ახალგაზრდებს შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მოწყობაში, ხშირად საუბრობს ახალგაზრდებთან, გამოდის მათ წინაშე პოლიტიკური მოხსენებებით.

მაგრამ კომკავშირულ მუშაობაშიც არის ნაკლი. მაგალითად, კომკავშირული მუშაობა დაბალ დონეზეა სოფელ მირზაანის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია მას სუსტად ხელმძღვანელობს.

ჩვენი მოვალეობაა გავაუმჯობესოთ კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობა და ამით გავაძლიეროთ ახალგაზრდობის მონაწილეობა საკოლმეურნეო შრომაში.

შ. ლეკაშვილი,
რაიკომის ინსტრუქტორი გამარჯვების მტს-ის ზონაში.

★ ★



400-მდე მკითხველი, 5.000-ზე მეტი წიგნი, 21 სახის ჟურნალი და გაზეთი — ასეთია არხილოსკალოს სასოფლო ბიბლიოთეკის მაჩვენებლები. **სურათზე:** კოლმეურნეები ბიბლიოთეკაში კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს.

ბუდაპეშტიდან გამოემგზავრა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია

ბუდაპეშტი, 7 აპრილი. (საკდესი). მოსკოვს გაემგზავრა სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის საბჭოთა კავშირის მარშლის კ. ე. ვოროშილოვის მეთაურობით, რომელიც მონაწილეობას იღებდა საბჭოთა არმიის მიერ უნგრეთის განთავისუფლების მეათე წლისთავის დღესასწაულში.

ბუდაპეშტის დასავლეთ ვაგზალზე დელეგაცია გააცილეს უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა მატიას რაკოშმ, უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და სამდივნოს წევრებმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ იშტვან დობიმ, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის წევრებმა, უნგრეთის მთავრობის წევრებმა, საზოგადოებრივობის წარმომადგენლებმა, აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მთავრობათა დელეგაციებმა, რომლებიც ჩამოვიდნენ აქ უნგრეთის განთავისუფლების მეათე წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად, უნგრეთში სსრ კავშირის საელჩოს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, ბუდაპეშტში აკრედიტებულმა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საელჩოთა მეთაურებმა და თანამშრომლებმა.

ვაგზლის წინ მოედანზე ჩამწკრივებული იყო სპატიო ყარაული. შესრულებულ იქნა უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

მატარებლის დასავლეთ ვაგზალზე დელეგაცია გააცილეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ იშტვან დობიმ წარმოთქვა სიტყვა. მან ბედნიერი მგზავრობა უსურვა საბჭოთა ხალხის დელეგატებს და განაცხადა, რომ უნგრელი ხალხი მადლიერების გრძნობითა და სიყვარულით მიესალმება საბჭოთა კავშირს, რომელიც ფასდაუდებელ დახმარებას უწევს უნგრეთს ახალი ცხოვრების მშენებლობაში. დობიმ გამარჯვება უსურვა უნგრეთის მეგობარსა და განმათავისუფლებელს — საბჭოთა კავშირს, უნგრელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის მარადიულ და ურღვევ მეგობრობას.

სამასუხო სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელმა ამხანაგმა კ. ე. ვოროშილოვმა. მან მთელი დელეგაციისა და პირადად თავისი სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა უნგრეთის მთავრობას, უნგრეთის მშრომელთა პარტიის ხელმძღვანელობას, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს იშტვან დობიმ, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის წევრებმა, უნგრეთის მთავრობის წევრებმა, საზოგადოებრივობის წარმომადგენლებმა, აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მთავრობათა დელეგაციებმა, რომლებიც ჩამოვიდნენ აქ უნგრეთის განთავისუფლების მეათე წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად, უნგრეთში სსრ კავშირის საელჩოს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, ბუდაპეშტში აკრედიტებულმა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საელჩოთა მეთაურებმა და თანამშრომლებმა.

მატარებლის დასავლეთ ვაგზალზე ჩამოვიდა ბუდაპეშტში აკრედიტებული საბჭოთა საელჩოს მრჩეველი ალექსეი ალექსეევიჩ ალექსეევი.

საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების საკითხთა აზიის ქვეყნების კონფერენცია

დელი, 7 აპრილი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, გუშინ დელში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საერთაშორისო ურთიერთული დაძაბულობის შენელების საკითხთა აზიის ქვეყნების კონფერენცია. ინდოეთის დედაქალაქში ჩამოვიდა აზიის 18 ქვეყნის საზოგადოებრივობის უაღრესად ფართო წრეების 200-მდე წარმომადგენელი, რომლებსაც ამოძრავებს საერთო მზურვალე სურვილი — იხსნან კაცობრიობა ახალი მსოფლიო ომის საშინელებათაგან და შეანელონ საერთაშორისო დაძაბულობა. კონფერენციის ამოცანაა განმტკიცოს აზიის ხალხების სოლიდარობა, შეისწავლოს, თუ რა გზით შეიძლება თავიდან აცილებულ იქნას ომის საფრთხე, რომელიც ემუქრება მსოფლიოს.

კონფერენციამ პირველი სხდომის თავმჯდომარედ აირჩია ინდოეთის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე ქ-ნი რამეშვარი ნერუ.

შეკრებილებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს სამდივნოს ინფორმაცია კონფერენციის მისამართით მიღებული მრავალი მისალმების შესახებ.

მოკლე სიტყვა წარმოთქვა დელის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარემ რ. ნ. აგარვალმა, რომელიც დელის მცხოვრებთა სახელით მზურვალედ მიესალმა ინდოეთის რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოსულ დელეგატებს. შემდეგ შესავალი სიტყვა წარმოთქვა ინდოეთის მოსამზადებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ქ-ნმა რამეშვარი ნერუმ.

რამეშვარი ნერუ მზურვალედ მიესალმა სტუმრებს და თქვა: ჩვენი კონფერენცია უბრალო ადამიანთა საერთო მისწრაფებისა და ყველა მონაწილე ქვეყნის ღირსებებთა შედეგია. ამიტომ ჩვენ პრობლემებს განვიხილავთ უბრალო ადამიანის თვალსაზრისით და ამავე თვალსაზრისით გამოვნახავთ გადაწყვეტილებებს. აქ არიან აზიის ყველა ნაწილის თვალსაჩინო მოღვაწეები—ქალები და მამაკაცები, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები; ისინი შეზოკილი არ არიან წინათ ნაკისრი რაიმე ვალდებულებით, და აქ გამოთქვამენ თავიანთ დამოუკიდებელ და პირად შეხედულებებს მათ წინაშე მდგომ პრობლემებზე. ჩვენი ვალდებულებანი, თუ ჩვენ ისინი გვიკისრია, — ეს არის ვალდებულებანი მშვიდობის, სოციალური სამართლიანობის იდეის, ინდივიდუალური და ეროვნული თავისუფლების საკითხში და იმ საკითხში, რომ არ იყოს ექსპლოატაცია.

ჩვენი კონფერენციის ქვაკუთხედია შემდეგი ხუთი პრინციპი: 1. ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემა; 2. თავდაუსხმელობა; 3. ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა; 4. თანასწორობა და ურთიერთსარგებლობა და 5. მშვიდობიანი თანაარსებობა. ეს ხუთი პრინციპი მთელი მსოფლიოს წინაშე წამოყენებული იყო შარშან, როცა ჩინეთისა და ინდოეთის ორი დიდი პრემიერ-მინისტრი შეხვდა ერთმანეთს და ხელი მოაწერა ერთობლივ დეკლარაციას ორივე ქვეყანას შორის მეგობრობის შესახებ. ეს ხუთი დიდი პრინციპი მთელ მსოფლიოს დაუსახეს, როგორც საშუალება მსოფლიოში არსებული ინ დაძაბულობის შესანელებლად, რომელიც სულ უფრო იზრდება. ჩვენ დამშვიდებით ვეღარ ვუყურებთ ამ დაძაბულობას, იგი მუდამ ემუქრება მშვიდობის საქმეს. შემდეგ ქ-ნმა ნერუმ ილაპარაკა იმაზე, თუ რა საშინელი შედეგები მოსდევს ადამიანთა მასობრივი მოსპობის თანამედროვე იარაღის გამოყენებას, და მოუწოდა, რომ მილიონობით სოციალის გადასარჩენად ქვეყნებს შორის ურთიერთობას საფუძვლად დაედოს მშვიდობიანი თანაარსებობის ეს ხუთი პრინციპი.

ქ-ნმა ნერუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას კონფერენციის მონაწილენი უწინარეს ყოვლისა უნდა ფიქრობდნენ ხალხების კეთილდღეობაზე და ცდილობდნენ იმას, რომ მოისპოს ყოველი სახის კოლონიური რეჟიმი. მან დელეგატებს მოუწოდა პროტესტი განაცხადონ რასობრივი და ეროვნული დისკრიმინაციის წინააღმდეგ, გამონახონ აზიის ხალხების ცხოვრების დონის ამაღლებისა და ურთიერთსასარგებლო სავაჭრო ურთიერთობის განვითარების გზები.

მან აღნიშნა, რომ საჭიროა დელეგაციების ფართო გაცვლა, აგრეთვე ტექნიკური და მეცნიერული ცოდნის ფართო ურთიერთგაზიარება, საჭიროა დამყარდეს კონტაქტი ცხოვრების ყველა დარგში — პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურულ დარგებში. „დღემდე ჩვენს პოლიტიკას და ეკონომიკას აღებული ჰქონდა გეზი დასავლეთზე, — განაგრძო ქ-ნმა ნერუმ. — ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ გამოვასწოროთ მდგომარეობა და დავამყაროთ უფრო მეგობრული თანამშრომლობა ჩვენს უახლოეს მეზობლებთან. ახლა ჩვენ უფრო ვიცით ევროპული ენები, ევროპის ისტორია, ლიტერატურა, ხელოვნება და ასე შემდეგ. ახლა უნდა უზრუნველყოთ იმის საშუალება, რომ მეტი ვიცოდეთ ჩვენს აზიელ მეზობლებზე“.

დასასრულ ქ-ნმა რამეშვარი ნერუმ განაცხადა, რომ როგორც იგი დარწმუნებულია, კონფერენციის ყველა გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს აზიის ქვეყნების ხალხთა ფართო მასების კეთილდღეობას.

იაპონიის დელეგაციის მეთაური იაპონიის მრჩეველთა პალატის წევრი ძიეიირო მადუმოტო თავის სიტყვაში მზურვალედ მიესალმა მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთ პრინციპს და განაცხადა, რომ მას ეს ხუთი პრინციპი მიაჩნია აზიის განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ძირითად გზად. მან, თქვა მან, ხელიზელჩაკიდებულმა ვიაროთ აზიის ხალხების განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის და საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების გზით. იაპონიის დელეგაცია პირობას დებს, რომ მთელ ძალღონეს მოახმარს ამ მიზნის განხორციელებას.

შემდეგ სიტყვას ამბობს ვიეტნამის დელეგატი ნგუენ ვან ხუონგი. იგი აცხადებს, რომ ფრანგი კოლონიზატორებისა და ამერიკელი ინტერვენტებისადმი წინააღმდეგობის ცხრა წლის შემდეგ ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის ხალხებმა, ბოლოს გაიმარჯვეს. ინდოჩინეთში აღდგენილია მშვიდობა, ხალხი ახლა ომით მიყენებულ ჭრილობებს იშუშებს და ემზადება 1956 წლის საყოველთაო არჩევნებისათვის, რაც უნდა უზრუნველყოს მშვიდობისმოყვარე, ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული ვიეტნამის შექმნა.

ვიეტნამელ ხალხს, განაგრძო ხუონგმა, ესმის, რომ მხოლოდ მშვიდობის პირობებში შეძლებს გადაჭრის თავისი სამშობლო აყვავებულ სახელმწიფოდ და იცხოვროს ბედნიერად. სწორედ ამიტომ ვიეტნამის ხალხი მზურვალედ უჭერს მხარს კონფერენციას, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობის მიღწევას და აზიის ხალხთა სოლიდარობის განმტკიცებას.

რენე კაპიტანმა (საფრანგეთი), რომელიც კონფერენციას ესწრება, როგორც სტუმარი, თავის სიტყვაში დიდად შეაქო ჟენევის თათბირის გადაწყვეტილებანი. მან ჟენევის თათბირი დაახასიათა როგორც იმ ახალი საერთაშორისო პოლიტიკის ეპოქის დასაწყისი, რომელიც ეწყარება ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს. თუმცა ზოგიერთი სახელმწიფო, თქვა მან, ცდილობს საფუძოს ჟენევის თათბირის გადაწყვეტილებათა შესრულება, მაგრამ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ეს გადაწყვეტილებანი განხორციელდება და ამით ვიეტნამს შესაძლებლობა ექნება მიაღწიოს ერთიანობას და მოიპოვოს მეგობრობა როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთისა, განსაკუთრებით კი საფრანგეთისა, რომლის ხალხთან მეგობრობა, მიუხედავად ომის წლებისა, ურღვევი დარჩება.

რენე კაპიტანმა აგრეთვე რწმენა გამოთქვა, რომ უახლოეს მომავალში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა აღიარებას ჰპოვებს ევროპიანებული ერების ორგანიზაციაში, ეს, თქვა მან, ნიშნავს თანაარსებობის პრინციპების აღიარებას.

კორეის დელეგაციის მეთაურმა პაკ დენ აიმ განაცხადა, რომ კორეელი ხალხი საკმაოდ უჭერს მხარს მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთ პრინციპს, როგორც საშუალებას, რომ აღიკვეთოს ომის საფრთხე აზიაში და შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა. კორეელმა ხალხმა იცის, თქვა პაკ დენ აიმ, რომ აზიის ყველა ხალხის უაღრესად მზურვალე სურვილია მოიპოვონ ან შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა და თავისუფლება, აგრეთვე დამყარონ ხანგრძლივი მშვიდობა აზიაში.

პაკ დენ აიმ შეკრებილთ კორეელი ხალხის სახელით უსურვა ყოველივე კარგი და კორეის მშვიდობის დაცვის კომიტეტის სახელით ქ-ნ რამეშვარი ნერუს გადასცა საჩუქარი — მშვიდობის დროშა.

საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა ნ. ტიხონოვმა აზიის ხალხების წარმომადგენლები, დიდ ინდოელ ხალხს გადასცა საბჭოთა დელეგაციისა და მთელი საბჭოთა ხალხის მზურვალე სალამი. მან თქვა, რომ აზიის ხალხებს უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნით საყოველთაო მშვიდობის დაცვის საქმეში. ნ. ტიხონოვმა აღნიშნა, რომ ჟენევის თათბირის წარმატებას ხელი შეუწყო ამ თათბირზე აზიის ქვეყნების წარმომადგენელთა დასწრებამ. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა დელეგატმა აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების ამაკარა უსამართლობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ, რის გამო ჩინეთი დღემდე არ არის წარმოდგენილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ნ. ტიხონოვი დაწვრილებით შეეხო ხუთი პრინციპის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ეს პრინციპები სახელმწიფოთა ნორმალური ურთიერთობის საფუძველია.

ნ. ტიხონოვმა შემდეგ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი განუხრელად იცავდა და იცავს ორი სისტემის — სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების მშვიდობიანი თანაარსებობისა და ეკონომიური შეჯიბრების პრინციპს.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა პაკისტანის წარმომადგენელმა აღმოსავლეთ პაკისტანის სახალხო მუსლიმანური ლიგის თავმჯდომარემ მაულანა ბხასანმ. ბხასანმ ილაპარაკა დასავლეთის იმპერიალისტთა ხანგრძლივ ბატონობაზე აზიის ქვეყნებში და აღნიშნა, რომ ისინი სასტიკ ექსპლოატაციას უწევდნენ აზიის ქვეყნების ხალხებს. ახლა, განაცხადა პაკისტანის დელეგაციის მეთაურმა, აზიის გაღვიძებულ ხალხებს მტკიცედ ჰქვთ გადაწყვეტილი თავი დაღწიონ ყველა ფორმის დამოკიდებულ მდგომარეობას და მიაღწიონ არა მარტო ცხოვრების ისეთ პირობებს, რომლებიც ადამიანს შეეფერება, არამედ ამასთანავე წინაღუდგენ აზიაში მშვიდობის დარღვევის ყველა ცდას. თავისი სიტყვის დასასრულს ბხასანმ წარმატება უსურვა კონფერენციის მუშაობას.

სიტყვას ამბობს კამბოჯელი ბუდისტი ბერი ბიეხი ბია ს

ლო, რომელიც კონფერენციას ესწრება როგორც სტუმარი. მე პოლიტიკოსი არა ვარ, ამბობს იგი, მაგრამ როგორც ბუდისტი ბერი, დაინტერესებული ვარ მშვიდობის შენარჩუნებით და ამით, რომ განხორციელდეს ხუთი პრინციპი. მას ტრიბუნაზე ცვლის სირიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მაარუფ ედ-დაჯალიბი. მან განაცხადა, რომ „არაბთა ქვეყნების ხალხები მხარს უჭერენ კონფერენციის კეთილშობილურ მიზანს — აზიის ქვეყნების ხალხთა ურთიერთობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას აზიის ხალხების უშიშროებისა და მთელი კაცობრიობის უშიშროებისათვის, ამ ქვეყნების ხალხთა უკეთესი ცხოვრებისათვის“.

დაჯალი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ისტორიულ ხუთ პრინციპს მზურვალედ დაუჭირეს მხარი სირიაში და სხვა ქვეყნებში. იგი რწმენას გამოთქვამს, რომ ამ კონფერენციის შედეგად დამყარდება ნამდვილი თანამშრომლობა და გაფართოვდება ურთიერთობა არაბთა ქვეყნებსა და აზიის სხვა ქვეყნებს შორის.

კონფერენციის დელეგატებმა და კონფერენციის გახსნაზე დამსწრე მოქალაქეებმა — ინდოეთის დედაქალაქის მცხოვრებლებმა დიდი ინტერესით მოისმინეს შუა აზიისა და აფრიკის ხალხთა მუსლიმანთა სასულიერო სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილის ზიაუტდინ ბაბახანოვის სიტყვა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა გო მო-ჟომ თავის სიტყვაში რწმენა გამოთქვა, რომ კონფერენცია დაეხმარება აზიის ხალხთა საუკეთესო ურთიერთგაგების მიღწევას მათი სოლიდარობის განმტკიცების საქმეში და ამით ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და აზიაში მშვიდობის შენარჩუნებას. „მშვიდობა აზიაში, — თქვა დასასრულ გო მო-ჟომ, — უზრუნველყოფს მშვიდობას მთელ მსოფლიოში, და ჩვენი სოლიდარობა უდიდესი ძალა იქნება მშვიდობის დაცვის საქმეში, რადგან ამ კონტინენტზე ცხოვრობს მილიარდნახევრამდე ადამიანი, რაც შეადგენს მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს. ჩვენ გავიმარჯვებთ ომზე. მშვიდობა გაიმარჯვებს“.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა ჯადგვარალმა კონფერენციას გადასცა მონღოლი ხალხის საუკეთესო სურვილები და განაცხადა, რომ როგორც იგი დარწმუნებულია, აზიის ქვეყნების წარმომადგენლები, პოლიტიკური შეხედულებისა და რელიგიური რწმენის სხვადასხვაობის მიუხედავად, მიაღწევენ სრულ ურთიერთგაგებას ყველა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის საკითხებში.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგატის გამოსვლის შემდეგ პირველი სხდომა დამთავრდა.

გურჯაანი. ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ადმინისტრაციული სახლი.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სპორტის ამგეგი

ჭადრაკი

ვ. სმისლოვი — ე. გელერი

მოსკოვში გრძელდება საბჭოთა გროსმაისტერების ვ. სმისლოვისა და ე. გელერის ჭადრაკი მატჩი სსრ კავშირის ჩემპიონის გამოსავლინებლად. რკინიგზელთა კულტურის ცენტრალური სახლი, სადაც ეს შეჯიბრება მიმდინარეობს, სავსეა სპორტის მოყვარულებით. მატჩის პირველი ორი პარტია, როგორც ცნობილია, ყაიმით დამთავრდა.

გუშინ გაიმართა მესამე პარტია. თეთრებით თამაშობდა ვ. სმისლოვი.

მოწინააღმდეგეებმა გაითამაშეს ლაზიერის გამბიტი. ორივე მოჭადრაკის ცდა, მიეღწიათ გარკვეული უპირატესობისათვის, უშედეგო გამოდგა. პარტია გადაიდო თანასწორ მდგომარეობაში.

უძლიერესთა შეხვედრები სასტენდო სროლაში

ლვოვში ორ დღეს გრძელდებოდა სსრ კავშირის უძლიერეს სპორტსმენთა შეჯიბრება სასტენდო სროლაში. პროგრამაში იყო ადგილიდან და მრგვალ სტენდზე სროლა. პირად შეჯიბრებაში მაღალი სპორტული შედეგი მოიპოვა თბილისელმა გ. ანტონოვმა, რომელმაც მრგვალ სტენდზე სროლაში პირველი ადგილი დაიკავა. ბ. ანტონოვმა 100 სამიზნედან დააზიანა 95. ადგილიდან სროლაში გაიმარჯვა ი. ნიკანდროვმა (ოდესა).

გაქოს წყალჯოგმარდოგის აუზში

სპორტის მრავალი მოყვარული დაესწრო ბაქოში გამართულ ტრადიციულ ასპარეზობას ცურვაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ბაქოს, ხარკოვის, ერევნისა და სოჭის მოზარდ სპორტსმენთა კოლექტივებმა.

ამ შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვა ბაქოს გუნდმა. გასული წლის შეხვედრებში პირველ ადგილზე გამოსულმა თბილისის მცურავთა კოლექტივმა მეორე ადგილი დაიკავა. მესამე ადგილზე გამოვიდნენ ხარკოველი სპორტსმენები.

წარმატებით აღინიშნა თბილისელთა გამოსვლა 4×200 მეტრზე ამანათაცურავში. ამ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სპორტსმენებმა პირველი ადგილი დაიკავეს. 400 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვაში გაიმარჯვა კვაჭაძემ (თბილისი). თბილისელმა სპორტსმენმა არაქელოვმა ზურგით 100 მეტრზე ცურვაში აჩვენა დრო 1 წუთი და 32,8 წამი და გოგონთა შორის პირველი ადგილი დაიკავა. ცურვის სხვა სახეობაში გაიმარჯვეს ბაქოელებმა.

ვ. ბუნჩიკოვისა და ვ. ივანოვას კონცერტები

თბილისში საგასტროლოდ ჩამოყოფილიყენ საკავშირო რადიოს სოლისტი, რსფსრ დამსახურებული არტისტი ვლადიმერ ბუნჩიკოვი და მოსკოვის სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი ვიქტორია ივანოვა.

თბილისის ოფიცერთა სახლში და კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართულ კონცერტებზე მოსკოველმა მსახიობებმა საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, რომელსაც დირიჟორობდა სტალინური პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შ. აზმაიფარაშვილი, წარმატებით შეასრულეს არიები და დუეტები ოპერეტებიდან „ბოშათა ბარონი“, „კორნევილის ზარები“, ჭრიჭინას სიმღერა ამავე სახელწოდების კინოფილმიდან და სხვ.

არანაკლები წარმატება ხვდა მსახიობების გამოსვლას რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში.

კონცერტების წარმატებას ხელს უწყობდა პიანისტ მ. დაროვსკის აკომპანემენტი. მან ოსტატურად შეასრულა აგრეთვე მენდელსონის, სკრიაბინის, შოპენის საფორტეპიანო ნაწარმოებები.

ახალი კინოჟურნალი

დედაქალაქის ეკრანებზე გამოვიდა თბილისის კინოსტუდია „საქართველო ფილმის“ ახალი ნაწარმოები „საბჭოთა საქართველო № 8“ (რეჟისორი შ. ჩაგუნავა).

ჟურნალის პირველი კადრები მთლიანად მიეძღვნა დიდ სახალხო ზეიმს — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს.

მეორე სიუჟეტია — „ახალი ბოსტნეული“. გადაღებულია ბიჭვინთის საბჭოთა მეურნეობა, სადაც სათბურებში გამოჰყავთ ახალი ბოსტნეული — კიტრი, პამიდორი, სხვადასხვა მწვანილი. ნაჩვენებია სათბურის მოწინავე მუშაკები.

ჟურნალის დასასრულს აღბეჭდილია საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა კალათბურთში ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა და საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა ნაკრებ გუნდებს შორის.

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 10 და 11 აპრილს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვლადადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ხანმოკლე წვიმა. ცვლადადი მიმართულების ქარი 3-7 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 7-12, დღისით 16-21 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 2-7, დღისით 8-13 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში — მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით ხანმოკლე წვიმა. ქარი 0-5 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 5-10, დღისით 10-15 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 1-6, დღისით 4-9 გრადუსი სითბო.

რედაქტორი ნ. ჯაში.

ბუდაპეშტში გვირგვინებით შეამკეს საბჭოთა არმიის მეომართა ძეგლი

ბუდაპეშტი, 7 აპრილი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციამ და სხვა ქვეყნების მთავრობათა დელეგაციებმა, რომლებიც ჩამოვიდნენ უნგრეთის განთავისუფლების მე-10 წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად, გვირგვინებით შეამკეს ჰელერტის მთაზე „თავისუფლების“ ქანდაკების — ბუდაპეშტის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლის კვარცხლბეკი.

ძეგლი სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციის გვირგვინით შეამკეს დელეგაციის წევრებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის მეთაურობით.

ძეგლი გვირგვინებით შეამკეს აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებმა.

გვირგვინებით შემკობას დაესწრნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ანდრაშ ჰეგედიუში, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ანტალ აპრო და უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და სამდივნოს წევრი ლაიოშ აჩი, უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზელა ვეგი, უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იანოშ ბოლდოკი, თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი იშტვან ბატა და სხვები, აგრეთვე უნგრეთში სსრ კავშირის საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საელჩოთა მეთაურები და თანამშრომლები.

შეთანხმება უნგრეთსა და რუმინეთს შორის საქონელგაცვლისა და ვადასახდელთა შესახებ

ბუდაპეშტი, 7 აპრილი. (საკდესი). როგორც უნგრეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, 2 აპრილს ბუდაპეშტში ხელი მოაწერეს შეთანხმებას უნგრეთისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკებს შორის 1955 წლის საქონელგაცვლისა და გადასახდელთა შესახებ.

შეთანხმების თანახმად უნგრეთი რუმინეთს მიაწვდის მედიკამენტებს, ალუმინს, ნაგლინს, მილებს, სხვადასხვა ნედლეულს მუშუაქი მრეწველობისათვის, სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობას, ფართო მოხმარების საქონელს და სხვ.

რუმინეთი უნგრეთს მიაწვდის ქიმიკატებს, მოწყობილობას ნავთობის მრეწველობისათვის, ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციას, მინის ნაკეთობას, საშენ მასალებს, ფართო მოხმარების სხვადასხვა საქონელს და სხვ.

დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები პეკინში ჩავიდნენ

პეკინი, 7 აპრილი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს ცნობით, გუშინ პეკინში ჩამოვიდნენ დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ჰარი პოლიტი და კომპარტიის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარე რობერტ სტიუარტი.

თურქეთ-ლიბანის მოლაპარაკება

სტამბული, 7 აპრილი. (საკდესი). გაზეთი „ჯუმჰურიეთი“ იუწყება, რომ, თუმცა ანკარაში გამოქვეყნდა ოფიციალური კომუნიკე თურქეთ-ლიბანის მოლაპარაკების შედეგებზე, ეს მოლაპარაკება გრძელდება სტამბოლში, სადაც ლიბანის პრეზიდენტის შამუნისა და თურქეთის პრეზიდენტის ბაიარის შემდეგ 6 აპრილს ჩამოვიდა თურქეთის პრემიერ-მინისტრი მენდერესი.

თურქეთის მთავრობის წარმომადგენელმა გაზეთ „ჯუმჰურიეთის“ კორესპონდენტს განუცხადა, რომ „თურქეთისა და ლიბანის სახელმწიფო მოღვაწენი ყოველ შესაძლებლობას გამოიყენებენ, რათა განაგრძონ მოლაპარაკება ოფიციალური კომუნიკეს ფარგლებში“.

ამ კომუნიკეში ნათქვამი იყო, რომ თურქეთისა და ლიბანს საჭიროდ მიაჩნიათ თურქეთ-ლიბანის თანამშრომლობის განმტკიცება და, კერძოდ, ურთიერთკონსულტაციების განხორციელება მთელ რიგ საკითხებზე.

ბეირუთი, 7 აპრილი. (საკდესი). როგორც ლიბანის გაზეთების ცნობებიდან ჩანს, თურქეთ-ლიბანის კომუნიკე ანკარაში შამუნის მოლაპარაკების შესახებ დაგმო ლიბანის მთელმა საზოგადოებრივობამ.

გაზეთი „ეური“ წერს, რომ ამ კომუნიკეს უდიდესი გაკვირვებით შეხვდნენ ლიბანის პოლიტიკურ წრეებში. ბევრ მეთვალყურეს მიაჩნია, რომ კომუნიკე მათ მოაგონებს განცხადებას ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური კავშირის შესახებ.

კომენტარი გაუკეთა რა თურქეთ-ლიბანის კომუნიკეს, ლიბანის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა აბდალაჰ იაფიმ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: „მე შეშფოთებას განვიცდი იმის გამო, რომ ამ დოკუმენტის ზოგიერთი პუნქტი მაგონებს თურქეთ-ერაყის კომუნიკეს, რომელიც გამოქვეყნდა თურქეთის პრემიერ-მინისტრ მენდერესის ერაყს გამგზავრების შემდეგ“.

ინდოეთის მთავრობამ უარი თქვა დაუშვას ამერიკელთა ექსპედიცია ჰარვალის რაიონში (ჰიმალაის მთები)

პარიზი, 6 აპრილი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი დელიდან იუწყება, ინდოეთის მთავრობამ ნება არ დართო ამერიკელთა ექსპედიციას ჩავიდეს ინდოეთსა და ტიბეტს შუა მდებარე ჰარვალის რაიონში (ჰიმალაის მთები).

პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ხელი მოაწერა პარიზის შეთანხმებებს

ნიუ-იორკი, 7 აპრილი. (საკდესი). დღეს პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ხელი მოაწერა პარიზის შეთანხმებებს, რომლებიც დაამტკიცა 1 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა.

ახალი დანიშვნები ინგლისის მთავრობის შემადგენლობაში

ლონდონი, 8 აპრილი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის მთავრობის შემადგენლობაში ახალი დანიშვნები მოხდა.

საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა ჰაროლდ მაკმილანი, რომელიც წინათ თავდაცვის მინისტრი იყო. თავდაცვის მინისტრად დაინიშნა სერვინ ლოიდი, ერთა თანამეგობრობის საქმეთა მინისტრად — ლორდი ჰოუმი, მომარაგების მინისტრად — რეჯინალდ მოდლინგი, ფოსტისა და ტ